ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 9 (14)

13 V 1990

## ანტიქართული ბრძოლის ეტაპები

**როგორც** ცნობილია, საქართველოს დაუფლებისაკენ მოსწრაფე რუსეთმა მრავალმხრივი დახმარება გაუწია აღა-მაჰმად-ხანს 1795 წლის ალექსანდრეპატარაში საქართველოზე მოულოდნელი თავდასხმის ორგანიზაციაში. მიზანი იყო საქართველოს დასუსტება და მისი ხელში ჩაგდების გაადვილება.

1801 წლის ანექსიის შემდეგ რუსული ადმინისტრაციული აპარატი ქართველი არისტოკრატიისათვის მოულოდნელად შეეჭრა საქართველოს ცხოვრების ყოველდღიურობაში და თავის კონტროლს — აღმოსავლური დამპყრობლებისაგან განსხვავებით — სოციალური ცხოვრების მთელი მართვა დაუქვემდებარა. ქართველი თავადაზნაურობა უფუნქციოდ დარჩა არა მარტო ქვეყნის საგარეო დაცვის თვალსაზრისით, არამედ შინაგანი მართვის თვალსაზრისითაც, რამაც (ეკონომიკურ დაცემასთან ერთად) განაპირობა მისი მასობრივი შესვლა იმპერიის სამხედრო სამსახურში.

1811 წელს რუსეთის ხელისუფლებამ დანაშაულებრივი იძულებით გააუქმა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა), რითაც ერს არა მარტო სულიერი ერთობის საფუძველი მოუშალა, არამედ ზნეობრივი სიჯანსაღისაც. 1830 წელს ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანისა და ხანდაზმული გენერლის კონსტანტინე აფხაზის საუბრიდან, მომავალი (1832 წ). შეთქმულების თემაზე, ცალსახად ჩანს, რომ ამ დროისთვის ქართველი ხალხი (ყოველ შემთხვევაში — მისი ზედაფენა) უკვე მორალურად პარალიზებულია, რომ ამ პარალიზებაში არც თუ მცირე როლი აქვს ნათამაშევი იმ ფსიქოლოგიურ „შოკს“, რასაც ქართველ კაცში უსასრულო შავმიწა ტრამალებისა და უსასრულო ორგანიზებული ჯარის სანახაობა იწვევდა.

ახალციხე-ახალქალაქის აღების შემდეგ (1829) ფართოდ იშლება საქართველოში არაქართველი ეთნიკური მასივების შექმნის პოლიტიკა (რუსული, სომხური, თათრული, გერმანული, თურქულენოვან-ბერძნული, ოსური) და მუსლიმანი ქართველობის ფანატიზაციის პოლიტიკა. ვორონცოვის გონებამახვილური ჩანაფიქრით ქართველ თავადაზნაურობაში ხელოვნურად შექმნეს არა მარტო ევროპული მაუდის, არამედ აგრეთვე ევროპულ ღვინის (!) მოთხოვნილებაც, რითაც, უხვი გამსესხებელი ბანკის საქმიანობასთან ერთად, ამ უფუნქციოდ დარჩენილი წოდების მასობრივი გაღატაკება გამოიწვიეს. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველოს ეკონომიკური კრახი — უფრო ზუსტად, საქართველოში ქართველობის ეკონომიკური კრახი — უკვე ფაქტი იყო.

საქართველოს სპეციფიკა ბევრი სხვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე ის იყო, რომ მატერიალური ინტერესი (მიწის დაუფლება) და ეროვნული ინტერესი რიგითი ქართველისთვის (გლეხისთვის) ურთიერთგათიშული აღმოჩნდა. 1864 წელს უმიწოდ განთავისუფლებული ქართველი ყმა გლეხი თავის მჩაგვრელად თავისივე ეროვნების კაცს (თავის ყოფილ ბატონს, ამჟამად მემამულეს) ხედავდა, და არა დამპყრობელ უცხოელს, როგორც, მაგალითად, ირლანდიელი გლეხი. რიგითი კაცის ამ პოზიციაში, რა თქმა უნდა, მისი (ამ რიგითი კაცის) ჰორიზონტის ! სიღრმეც ერია, როგორც ფაქტორი: ქართველი გლეხი ხედავდა ქართველსავე მიწათმფლობელს თავისი სახლიდან ნახევარი, ან ორი კილომეტრის მანძილზე, მაგრამ ვერ ხედავდა საქართველოს ბარაქიან მიწებზე დამსხდარ არაქართველებს თავისი ქოხიდან ასი, ორმოცდაათი ან თუნდაც ოცი კილომეტრის მანძილზე — იქ, სადაც საქართველოს მიწა უკვე დეპოპულირებული და შემდეგ დექართველიზებული იყო.

ასეთ ფონზე მოვიდა საქართველოში (რუსეთის გზით) დასავლური სოციალ-დემოკრატია, რომელსაც მოსახლეობის (გლეხობის...) თითქმის ერთსულოვანი მხარდაჭერა შეხვდა, ჯერ ერთი, **აგრარული** ლოზუნგების („მიწა-გლეხს!“) პოპულარობის გამო, მეორეც, იმის გამო, რომ მსოფლიო ფართო მასების მიერ იდეალად აღიარებულ მომავალ სოციალიზმს ზურგს უკან სწორედ **მსოფლიო აზრი** ედგა მსოფლმხედველობრივად და უზარმაზარი რუსული სოციალ-დემოკრატია — ფიზიკურად. თუ ამას ზედ დავუმატებთ ზემოხსენებულ ფსიქოლოგიურ შოკს — უზარმაზარ რუსეთის უძლეველობის რწმენას — მაშინ სრული ახსნა გვექნება იმისა, თუ რატომ დაუთმო საქართველომ **ხამკვდრო-ხანოცოცხლო** ბრძოლის გარეშე თავისი თავი რუსეთს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში, ისევე როგორც თეიმურაზ ხევისთავმა (გავიხსენოთ მ. ჯავახიშვილისეული ცნობილი ალეგორია!) დაუთმო თავისი ცოლი ჯაყოს.

სამართლიანობა მოითხოვს, ამ მძიმე თემაზე მსჯელობისას ვახსენოთ შემდეგი ფაქტიც: 1920 წლის დამლევს საქართველოს მუნიციპალურ არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უკვე მოიპოვა გამარჯვება სოციალ-დემოკრატებზე („მენშევიკებზე“), რაც ამ უკანასკნელთ ნათლად უჩვენა, რომ საქართველოში პერსპექტივა აღარ ჰქონდათ. კითხვა, ამიტომ ხომ არ იყო, რომ მენშევიკურმა მთავრობამ წითელ არმიას სათანადო ბრძოლა არ გაუმართა, ალბათ, უპასუხოდ დარჩება. მაგრამ, ალბათ, ნათელია, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ ქართველი ერი უკვე ჯანსაღი, მთლიანად ეროვნული სულისკვეთებით მოცული ერი იქნებოდა. ვაი, რომ ეს ორი წელი ბედმა არ დაგვაცალა!.

1921 წლის თებერვლიდან საქართველოში დაღვრილმა სისხლისა და ცრემლის ზღვამ ერი, ჯერ ერთი, ფსიქოლოგიურად გატეხა, შეიქმნა ყველა ჩვენგანისათვის ცნობილი კლასიკური მექანიზმი, როცა დაჩოქილ მასაში ამა თუ იმ ინდივიდისთვის ფეხზე წამოდგომის მცდელობა და შუბლში ან კეფაში ტყვიის მიღება ერთი და იგივე გახდა. მაგრამ მტრის მეთოდები — ესეც ყველამ ვიცით — მხოლოდ ტერორით არ ამოწურულა. მას მიემატა (და ემატება):

ა) დემოგრაფიული ომი ქართველთა მსხობრივი გაციმბირების (დღეს —საქართველოდან ეკონომიკურად, უმაღლესი სასწავლებლის და ა. შ. გატყუების), არაქართველთათვის ეკონომიკური ნაკრძალების შექმნის, ქართული სოფლის ძირის გამოთხრის (საკარმიდამოს მიუცემლობა და ა. შ.) გზით.

ბ) ქართველ ერში თვითრეგულირების ყველა ტრადიციული და ისტორიულად ჩამოყალიბებული მექანიზმების აღმოფხვრა (თემის აზრის, სოფლის აზრის, საერთოდ — საზოგადოებრივი აზრის გავლენისა და ა. შ.), ხალხის ბრბოდ ქცევისათვის ყველა ობიექტური პირობის შექმნა (რიგითი კაცის გადაქცევა „მთავრობის ხელის შემყურედ“).

გ) საქართველოს სრული ეკონომიკური მიბმა იმპერიაზე, ისეთი ვითარების შექმნა, როცა საქართველოს კვება სხვის ხელშია (უდიდესი ექსპლოატაციის ფონზე).

დ) ეკოლოგიური ომი, გარემოსათვის მავნე საწარმოთა მშენებლობა და ა. შ.

და სხვა.

ყოველივე ამის შედეგად საქართველოს, როგორც კოლონიის, ტრადიციული სტატუსი შეიქმნა, რომელიც შეგვიძლია ასე აღვწეროთ: საქართველოს საქმე უკანუკან მიდის. ქართველი პატრიოტი პასიურად ხის და იმედოვნებს, რომ ეს პროცესი ბოლომდე ვერ მივა. მოხდება „რაღაცა“ და პროცესის მიმართულებაც შეტრიალდება. ხელისუფლებას ამ ვითარებაში სხვა აღარა სჯერდება რა გარდა იმისა, რომ პატარ-პატარა დამაშინებელი რეპრესიები ჩაატაროს (ტერორის ზოგადი ატმოსფეროს შენარჩუნების მიზნით) და, პარალელურად, ერთი-ორი წითელი კვერცხი უგოროს ხოლმე ერს ამ უკანასკნელის დაშოშმინების მიზნით.

რა უნდა ქნას, ლოგიკურად, ხელისუფლებამ მაშინ, როცა ერს ვეღარ აშოშმინებს, როცა ერის მნიშვნელოვანმა მასამ უკვე გამოიღვიძა და ფეხზე წამოდგომის მსურველი იმდენია, რომ გუშაგი ყველა შუბლის და ყველა კეფის განგმირვას ვეღარ ასწრებს (რადგან რეალური ხელისუფლება „დემოკრატიას“ თამაშობს და გუშაგთა, ისევე როგორც მსხვერპლთა, რაოდენობა, ხელისუფლების სამწუხაროდ, უკვე ლიმიტირებულია)? მას ერთადერთი „გონივრული“ გზა რჩება: მან ნებისმიერი საშუალებით უნდა მოიპოვოს თვით ეროვნული მოძრაობის მსვლელობაში ჩარევის, ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა. იგი ყველა საშუალებით უნდა ეცადოს, ეს მოძრაობა წამგებიანი გზით წაიყვანოს, დათრგუნოს ამ მოძრაობის ყველაზე სწორი და, მაშასადამე, ყველაზე **პერსპექტიული** ნაწილი, და, სამაგიეროდ „ტექნიკურად“ გზა გაუხსნას მის ყველაზე ნაკლებად სწორ და, არსებითად, **უპერსპექტივო** ნაწილს, თუნდაც თვითონ მას, ხელისუფლებას, ამ ისტორიულად უპერსპექტივო ნაწილისგან ყველაზე უფრო მკვეთრი „კომპლიმენტები“ და ყველაზე უფრო მკვეთრი კრიტიკა ჰხვდებოდეს. ლოგიკურია, რომ რეალური ხელისუფლება შეეცდება, ჩაშალოს ყველა ის კამპანია (საარჩევნოს ჩათვლით), რომელიც საქართველოს ამა თუ იმ რეალურ იარაღს აძლევს ხელს, და გააღვივოს ყველა ის კამპანია, რომელიც საქართველოში ეთნოსაშორისი ან აღმსარებლობათშორისი კონფლიქტების შესაძლებლობას ბადებს. ხელისუფლება, ცხადია, მიმართავს ყოველგვარი ბრძოლის უმარტივესსა და უტრადიციულეს მეთოდსაც — თავის მოწინააღმდეგეებში გათიშვის შეტანას იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა ერთობა, და გათიშვის სიმულაციას იმ ძალებს შორის, რომელთაც, არსებითად, ერთი და იგივე, რეალური ხელისუფლებისათვის სასარგებლო და საქართველოსათვის საზიანო პოზიცია უჭირავთ.

რეალური (მოსკოვის) ხელისუფლებისათვის, როგორც ჩვენი მოწინააღმდეგისათვის ჩვენი განთავისუფლების საქმეში, საშიშია მხოლოდ ერთი რამ: ორგანიზებული, საკუთარი თავის მართვის უნარიანი, ფეხზე დგომის უნარიანი, შინაგანად სტაბილური საქართველო. დიაღ, ჩვენ გვინდა **შინაგანად** სტაბილური საქართველო, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს აუცილებელი ყველა ფუნქციის შესრულება მშვიდობისა თუ ომის დროს. ასეთი — და **მხოლოდ** ასეთი — საქართველოსი ეშინია ჩვენს მოწინააღმდეგეს და **მხოლოდ** ასეთი საქართველოს გაჩენის წინააღმდეგ იბრძოლებს იგი ყველა საშუალებით. ცხადია, ის „სტაბილობა“, რომელიც დღეს გვაქვს, სტაბილობა არ არის. იგი დიდწილად (თუმცა არა მთლიანად) ჩვენი მოწინააღმდეგის ხელში მყოფი და, მაშასადამე, ჩვენს წინააღმდეგ მიმართული სტაბილობაა. ასეთი სტაბილობის ჩვენს საწინააღმდეგოდ მიმართული ელემენტია, მაგალითად, ჩვენს შესახებ მოსკოვში მიმავალი არაობიექტიური ინფორმაციის ნაკადი და ჩვენი უმაგალითო ექსპლოატაციის სტაბილური პროცესი. მაგრამ იმავე, არსებული სტაბილობის ჩვენთვის სასარგებლო ელემენტია წყალმომარაგების და მედდაცვის არსებული სამსახური, ტრანსპორტის სტაბილური მუშაობა და სხვა. დესტაბილიზაცია დესტაბილიზაციის გულისათვის, რომლისკენაც მოწინააღმდეგე, უეჭველია, „ტექნიკურად“ წაგვიბიძგებს, არსებული შესუსტებული სტაბილობის ყველა მხარეს შეეხება — ჩვენთვის მავნესაც და ჩვენთვის სასარგებლოსაც — და, ამგვარად, იგი არა მარტო დისკრედიტაციას მოგვიტანს რიგითი მოქალაქის თვალში („აი, რა მოგვიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ“), არამედ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დადამბლავებასაც. ჩვენ გვჭირდება არა დესტაბილიზაცია, არამედ სტაბილობის საკუთარი, ჩვენი ინტერესების მომსახურე მექანიზმების შექმნა, რომლებსაც საქართველოს მართვა შეეძლებათ არა მხოლოდ თავისუფლების პირობებში, არამედ მეტნაკლებად დღესაც, თავისუფლებისათვის ბრძოლის პირობებში. სტაბილობის ამ ჩვენთვის სასარგებლო მექანიზმებმა თავ-თავისი ადგილი უნდა დიკავონ ჩვენს ცხოვრებაში მაშინათვე, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ, იმ ანგარიშით, რომ დესტაბილიზაციის მონაკვეთები ჩვენს გასავლელ გზაზე რაც შეიძლება ნაკლები იყოს. ჩვენთვის სასარგებლო სტაბილიზაციის მექანიზმებში შედის ყველა საშუალება — საქართველოში და მის გარეთ მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის დამოუკიდებელი შეკრებით დაწყებული და დღეს არსებული ოფიციალური პარლამენტის კომისიების მუშაობით დამთავრებული.

დასასრულ, უნდა შევეხოთ იმპერიის ანტიქართული ბრძოლის შემდგომ, მოშავალ ეტაპსაც, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყება ან გაგრძელდება. უეჭველია, რომ იმპერია დიპლომატიურად და სხვა გზებით შეეცდება საქართველოზე მისი ტრადიციული მტრების თავდასხმის ორგანიზაციას. იგი შეეცდება ისევე, როგორც დღეს ცდილობს, საქართველოს, როგორც „მცირე იმპერიის“, დისკრედიტაციას მსოფლიოს თვალში და საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის მიღწევას. იგი უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენებს ეკოლოგიური დესტაბილიზაციის ხერხებს ჩვენი შესუსტებისათვის და ყოველნაირად შეეცდება, ხელი შეუშალოს ჩვენს ეკონომიკურ თუ სხვა სახის ჩართვას დასავლეთი სამყაროს სისტემაში. საქართველოს დასჭირდება თავისი კუთვნილი ადგილის მოპოვება მსოფლიოს მომავალ სისტემაში და, ცხადია, ფიზიკის კანონების ძალით, არსებული სისტემის ყოველ წევრს ამისთვის ოდნავ „ჩაწევა“ მოუხდება. თუ ფეხზე მაგრად არ დგახარ, ვერავის „ჩაწევინებთ“, მით უმეტეს, თუ (რამდენიმე წლის მანძილზე მაინც) ჩასაფრებული უოფილი ბატონი გეყოლებათ. ფეხზე მაგრად დგომის ერთ-ერთი აუცილებელი (თუმცა, რა თქმა უნდა, არა საკმარისი) პირობა ისაა, რომ ჩვენმა ეროვნულმა ორგანიზმმა სრულყოფილად, აწყობილად იმუშაოს, რომ ჩვენი თავი ვმართოთ და (ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვისა) დისციპლინირებულად, სახელმბრ — დემოკრატიულ შექანიზმებზე აგებული მყარი დისციპლინით ვმართოთ. ერთი სიტყვით — ჩვენ დღესვე უნდა ვუყურიდეთ საფუძველს ჩვენი თვითრეგულირების სტრუქტურებს. არსებულ სტრუქტურებს კი მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად უნდა დავუპირისპირდეთ, როდესაც და რამდენადაც ისინი ჩვენეული სტრუქტურების შექმნის ამ პროცესს უპირისპირდებიან.

მგლის შიშით ცხვარი ღმერთმა ნუ გაგვაწყვეტინოს. მაგრამ ნურც ისეთ დღეში ჩაგვაგდოს, რომ მგლის მოსაგერიებლად აღარც კომბალი გგქონდეს და აღარც ხმა, ხმა, რომელიც უაზრო კინკლაობაში ჩაგვიწყდა.

**ნოდარ ნათაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფრთხილად, ღალატია!**

როგორც გავიგეთ, საქართველოს გარკვეულმა ინსტანციებმა (მინისტრთა საბჭოს ოთხ წევრის ხელმოწერით) თანხმობა მისცა საქართველოს მიწაზე მდებარე გზის ერთი მონაკვეთის (სახელდობრ, ოთკის გზის საუელტეხილო მონაკვეთის) ეტალონტაციის გადაკისრებას არაქართულ (მოსკოვურ) ინსტანციებისათვის. თუ ეს ინფორმაცია სწორია, საკმე გვაქვს საქართველოს ღალატის კიდევ ერთ მორიგ ფაქტთან. თუ იგი სწორი არაა (რასაც, რაღა თქმა უნდა, შევამოწმებთ), მაშინ ბოდიშს მოვიხდით იმათთან, ვისაც ეს ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსფ ყრილობის წინ

## ცვლილებები წესდებაში

**წარმოგიდგენთ მოსაზრებებს წესდებაში ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების შეტანის შესახებ (ველით ახალ მოსაზრებებს წესდების ტექსტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით). წესდებაში შესატანი სიახლეების პროექტი განხილული იქნება სახალხო ფრონტის კონფერენციაზე, რომელიც ამა წლის 22 მაისს შედგება.**

1. ყრილობებს შორის სსფ უმაღლესი მმართველი ორგანო არის სათათბირო. მისი შემადგენლობის ნახევარი შედგება რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან პროპორციულობის პრინციპით, მეორე ნახევარი ირჩევა ყრილობის მიერ.

2. ყოველ ტერიტორიულ ერთეულში შეიძლება იყოს სსფ-ს მხოლოდ ერთი რეგიონული ორგანიზაცია.

3. პოლიტიკური ჯგუფებისა და პარტიების წევრთა მონაწილეობა სახალხო ფრონტში რეგლამენტირებულ იქნას შემდეგნაირად: სსფ-ს წევრი ვერ იქნება ისეთი პოლიტიკური ჯგუფის ან პარტიის წევრი:

ა) რომლის პროგრამა ეწინააღმდეგება სსფ-ს პროგრამას ერთ პუნქტში მაინც. შენიშვნა: ლაპარაკია წინააღმდეგობაზე, ანუ შეუთვისებლობაზე, ურთიერთგამორიცხულობაზე და არა განსხვავებაზე.

ბ) რომელსაც ცენტრი საქართველოს გარეთ აქვს და რომლის წევრთა უმრავლესობა არც ქართველია და არც საქართველოს მოქალაქე.

4. ყრილობის ან სათათბიროს ყველა გადაწყვეტილება, რომელიც თვით ყრილობის ან სათათბიროს მიერ კვალიფიცირებული იქნება როგორც პოლიტიკური, სავალდებულოა სსფ-ს ყველა რეგიონული ორგანიზაციისათვის, ყველა პირველადი ჯგუფისათვის და ყველა წევრისათვის.

5.თუ სსფ-ს წევრის მოქმედება ეწინააღმდეგება სსფ-ს პრინციპებს, მის წესდებას ან საყოველთაოდ მიღებულ მორალს, სსფ-ს უფლება აქვს მისი გარიცხვისა (გარიცხვის პროცედურა მუშავდება).

**სახალხო ფრონტის მოახლოებული ყრილობის წინ სსფ-ს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი შემოდის წინადადებით სსფ-ს შემადგენლობითი რეორგანიზაციის თაობაზე.**

ვინაიდან საქართველოს სახალხო ფრონტის წევრების ერთი ნაწილი იმავდროულად სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებში შედის (სკკპ, სოც-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, თბილისის პოლიტიკური კლუბი, საქართველოს საზოგადოება, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია და სხვა), აუცილებლად მიგვაჩნია სსფ მმართველი ორგანოების არჩევნები გახდეს „მრავალპარტიული პარლამენტური“ ტიპის, კერძოდ, კანდიდატები უნდა დაახასიათონ ზემოთხსენებული ორგანიზაციების კონფერენციებმა და შესაბამისად ცნონ თავი სახალხო ფრონტის ფრაქციად სსფ-ს ყრილობის წინ. სსფ ყრილობის დელეგატთა დასახელება უნდა მოხდეს აგრეთვე ამ კონფერენციაზე წინასწარ განსაზღვრული ნორმით, რომელიც საერთო იქნება ყველა ფრაქციისათვის. ე. ი. სსფ-ს წევრთა გარკვეულ რაოდენობაზე თითო დელეგატი. ამას გარდა, სასურველია შეიქმნას სსფ-ს ოპოზიციური საბჭო ყველა ფრაქციის პარტიული წარმომადგენლობით და მიეცეს მას ვეტოს უფლება ხმის აბსოლუტური უმრავლესობით. სადავო საკითხის ხელმეორე განხილვისათვის. ხოლო ის პირები, რომლებიც არ არიან სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წევრები, გარდა საქართველოს სახალხო ფრონტისა, ითვლებიან სსფ დამოუკიდებელი ფრაქციის წევრებად. სსფ-ს ფრაქციები ვალდებულნი არიან მოსთხოვონ თავიანთ წევრებს მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ყოფნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განიხილონ ეს პრინციპი სსფ კონფერენციაზე, ან ყრილობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი დასმული იქნება სსფ ყრილობაზე, მან დროებით უნდა შეწყვიტოს მუშაობა, რათა, ვთქვათ, ერთი თვის ვადაში მოხდეს ფრაქციათა კონფერენციების ჩატარება, რის შემდეგაც სსფ-ს ყრილობა ახალი შემადგენლობით განაახლებს მუშაობას.

ამას გარდა, რადგან უახლოეს მომავალში მოსალოდნელია პროფესიული ინსტიტუტების დეპოლიტიზაციის პროცესის დაწყება, აუცილებელია ახლავე დაიწყოს სსფ-ს სტრუქტურის რეორგანიზაციისათვის მზადება. მას შემდეგ, რაც საწარმო-დაწესებულებებში გაუქმდება სკკპ პირველადი ჯგუფები, ცხადია უნდა გაუქმდეს სსფ-ს პირველადი ჯგუფებიც, ამიტომ ამ დროისათვის უნდა მოიძებნოს სსფ-ს პირველადი ჯგუფებს შექმნის სხვა პრინციპი. ამ პრინციპებს შორის უპირველესად მიგვაჩნია სწორედ ფრაქციული პრინციპის განხორციელება რაიონულ, ან რეგიონულ საწყისზე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი გახდება გარკვეული მატერიალური შუამდგომლობა (შენობები და სხვა) არსებული ხელისუფლებისაგან.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ერთგვარად გაიზარდოს სსფ-ს მოთხოვნები მისი წევრების მიმართ. კერძოდ, სსფ-ს წესდების II თავში, პუნქტი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სსფ-ს წევრს აქვს სსფ-დან თავისუფალი გასვლის უფლება ყოველგვარი მოტივაციის გარეშე. სსფ-ს წევრს აქვს უფლება არ შეასრულოს სსფ-ს მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები, იმ შემთხვევაში, თუკი სსფ-ს წევრის, ან მთლიანად სსფ-ს რომელიმე ფრაქციის მოქმედებები ეწინააღმდეგება სსფ-ს წესდებასა და პროგრამას, ან სსფ-ს მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებებს, ისინი გაირიცხებიან სსფ-ს შემადგენლობიდან. ეს აქტი უნდა დაფიქსირდეს სსფ-ს შესაბამის ორგანოში.

## როგორი უნდა იყოს სსფ

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა პირველი შეხვედრა გაიმართა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ოფისში ა. წ. 5 მაისს 21 საათზე.

სხდომა მიჰყავდა მრგვალი მაგიდის სპიკერს ბატონ **ზვიად გამსახურდიას.**

მრგვალი მაგიდის მეორე შეხვედრა გაიმართა 8 მაისს საქართველოს ალკკ ყოფილ შენობაში (მაჩაბლის ქ). III სართულზე „აკვარიუმში“.

შეიქმნა სპეციალური მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფი მრგვალი მაგიდის წესდების პროექტის წარმოსადგენად.

სხდომა მიჰყავდა მრგვალი მაგიდის სპიკერს ბატონ **ზვიად გამსახურდიას.**

მრგვალი მაგიდის მესამე შეხვედრა გაიმართა 11 მაისს 20 საათზე საქართველოს ალკკ ყოფილ შენობაში (მაჩაბლის ქ.) III სართულზე „აკვარიუმში“. მრგვალ მაგიდასთან სტუმრის სტატუსით წარმოდგენილი იყო ორი პოლიტიკური ორგანიზაცია: საქართველოს ფედერალურ-რესპუბლიკური პარტია: ბ-ნი **ირაკლი შენგელაია** (პარტიის თავმჯდომარე) და ბ-ნი **დავით მარღანია**; საქართველოს მწვანეთა პარტია: პარტიის სპიკერი ბ-ნი **ზურაბ უვანია** და ბ-ნი **გიორგი ბარამიძე.**

სხდომის მთავარი საკითხი იყო მსჯელობა მრგვალი მაგიდის პროექტის წესდების შესახებ, რომელიც გამოტანილ იქნა მრგვალი მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის წევრთა (ბ-ნი **ვახტანგ ბახტაძე**, ბ-ნი **მერაბ ურიდია**, ბ-ნი **ზვიად ბოკუჩავა** და ბ-ნი **ნუგზარ მოლოდინაშვილი**) მიერ, პროექტი მრგვალი მაგიდის მონაწილეთა მცირეოდენი კორექტივებით მოიწონეს და მიიღეს.

დღევანდელი პოლიტიკური კონცეფციის პროექტი წარმოადგინა ბ-ნმა **თედო პაატაშვილმა** (წმ. ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი). მან ვრცლად წარმოადგინა დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციების გათვალისწინების აუცილებლობა.

ამ საკითხის გარშემო გაიმართა საინტერესო აზრთა გაცვლა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფედერალურ-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ბ-ნმა **ირაკლი შენგელაიამ** და საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერმა ბ-ნმა **ზურაბ უვანიამ.** შეიქმნა სპეციალურ მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფი: ბ-ნი **თედო პაატაშვილი** (წმ. ილია მართლის საზოგადოება), ბ-ნი **ირაკლი შენგელაია** (საქართველოს ფედერალურ-რესპუბლიკური პარტია), ბ-ნი **გიორგი ხონელიძე** (საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია), ბ-ნი **გიორგი მარჯანიშვილი** (საქართველოს ჰელსინკის კავშირი). ბ-ნი **დავით კუპრეიშვილი** (სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება) და ბ-ნი **ვახტანგ ბახტაძე** (საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“). სხდომა მიჰყავდა მრგვალი მაგიდის სპიკერს ბ-ნ **ზვიად გამსახურდიას.**

მრგვალი მაგიდის მორიგი IV შეხვედრა გაიმართება 15 მაისს, სამშაბათს 20 საათზე საქართველოს ალკკ ყოფილ შენობაში, III სართულზე, „აკვარიუმში“. სტუმრად მოწვეულნი არიან სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი ბ-ნი **აკაკი ბაქრაძე** და საქართველოს სახალხო ფრონტის ვამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი **ნოდარ ნათაძე.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელმა სააგენტო „მაცნემ“**

## წესდება

**(პრეამბულა)**

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიზანია დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალისტური კონცეფციის შექმნა და მის გასატარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. აუცილებელია უმოკლეს დროში პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება საქართველოს საკითხის ჰელსინკი-2 შეხვედრაზე გასატანად.

მრგვალი მაგიდის შემქმნელ პოლიტიკურ ორგანიზაციებს დასაშვებად მიაჩნიათ თანამშრომლობა ყველა იმპერიალისტური სტრუქტურების უარმყოფელ არაკოლაბორაციონისტულ, მშვიდობიან, ძალადობის დამგმობ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან, ამავე დროს გამორიცხული არ არის დიალოგი ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თუ ცალკეულ პიროვნებასთან.

### მრგვალი მაგიდის სტრუქტურა

**1. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ: მუდმივი წევრი-ორგანიზაციები, წევრები და მოწვეული სტუმრები.**

მრგვალი მაგიდა დარგობრივი პრინციპებით ქმნის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ უფლებამოსილნი არიან მოიწვიონ შესაბამისი დარგის, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტები.

**2. ა) მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრებია:**

საქართველოს ჰელსინკის კავშირი, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება და ამ ორგანიზაციათა მიერ შექმნილი მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგია.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები მრგვალი მაგიდის მუშაობაში წარმოდგენილი არიან ოთხ-ოთხი წევრით.

ბ) მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრი-ორგანიზაცია აღჭურვილია გადამწყვეტი ხმისა და ორგანიზაციული ვეტოს უფლებით:

საკოორდინაციო კოლეგია მრგვალ მაგიდასთან სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

**3. სტუმრები:**

მრგვალი მაგიდის ოთხი მუდმივი წევრი-ორგანიზაცია აბსოლუტურად თავისუფალია თავისი ნების გამოხატვისას, უფლებამოსილია დიალოგისათვის მოიწვიოს ნებისმიერი ორგანიზაცია თუ ცალკეული პიროვნება ოპტიმალური ეროვნული კონცეფციის გამოსამუშავებლად.

**4. მრგვალი მაგიდის წევრები:**

ა) ის ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლები სტუმრის სტატუსით სისტემატურად მონაწილეობას მიიღებენ მრგვალი მაგიდის მუშაობაში, გამონახავენ საერთო ენას მასში მონაწილე ორგანიზაციებთან, კონსენსუსის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნან მრგვალი მაგიდის წევრ-ორგანიზაციებად.

ბ) მრგვალი მაგიდის წევრი-ორგანიზაცია მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს თავისი ორი წარმომადგენლით გადამწყვეტი ხმის უფლებით.

### მრგვალი მაგიდის მუშაობის პრინციპები

1. მრგვალი მაგიდის სხდომები მიჰყავს სპიკერს. მრგვალი მაგიდის სხდომის მსვლელობის დროს მონაწილენი ვალდებულნი არიან, იმოქმედონ სპიკერთან შეთანხმებით.

2. მრგვალი მაგიდის წევრები ვალდებულნი არიან, ურთიერთმიმართებაში დაიცვან საყოველთაოდ მიღებული ეთიკური ნორმები. თუ მრგვალი მაგიდის რომელიმე მონაწილის მოქმედება მრგვალი მაგიდის წევრთა მიერ შეფასებული იქნა, როგორც არაეთიკური, აღნიშნულმა პიროვნებამ უნდა დატოვოს მრგვალი მაგიდა.

3. მრგვალი მაგიდის მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციები თავისუფალნი არიან თავიანთ მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებში, თუ ეს ქმედება დაკავშირებული არ არის მრგვალი მაგიდის მუშაობასთან.



**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა**

### მრგვალი მაგიდა

**მონაწილენი:**

**სპიკერი: ზვიად გამსახურდია** — საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე; წმ. ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი:** თემურ ჭორიძე, ავთანდილ რცხილაძე, გოგი ხოშტარია, გიორგი მარჯანიშვილი;

**საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება:** თედო პაატაშვილი, თამაზ გველესიანი, მერაბ ურიდია, გელა ჩორგოლაშვილი;

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება:** ვაჟა ადამია, ჯემალ გოლეთიანი, დავით კუპრეიშვილი, ნუგზარ მოლოდინაშვილი;

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია:** თემურ ყორეოლიანი, თენგიზ კიტოვანი, გიორგი ხონელიძე, აკაკი ახათიანი.

**მრგვალი მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგია:**

**მუდმივი წევრები სათათბირო ხმის უფლებით:** თენგიზ სიგუა — პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; **ვახტანგ ბახტაძე** — საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნეს“ პოლიტიკური დირექტორი, **გიზო კორძაძე** — საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, **თენგიზ დიხამინჯია** — საქართველოს ჰელსინკის კავშირი; **ალეკო მელაძე** — დამოუკიდებლობის ორგანიზაცია, **ზვიად ბოკუჩავა** — საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, **გიორგი სავთახი** — სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება.

სტუმრის სტატუსით მოწვეულნი არიან: საქართველოს ფედერალურ-რესპუბლიკური პარტია ორი წარმომადგენლით: **ირაკლი შენგელაია** — ფედერალურ-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე, **დავით მარღანია** — ფედერალურ-რესპუბლიკური პარტიის წევრი; საქართველოს მწვანეთა პარტია ორი წარმომადგენლით: **ზურაბ უვანია** — მწვანეთა პარტიის სპიკერი, **გიორგი ბარამიძე** — საქართველოს მწვანეთა პარტიის წევრი.

მრგვალი მაგიდის ოქმებს ადგენს მრგვალი მაგიდის მდივანი დალი ქვირია (საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნეს“ კორესპონდენტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოიკოტი—ახალგაზრდების საბჭოთა წითელ არმიაში გაწვევას!

## „ხალხის ინტერესების დამცველი“ მთავრობა

**მთელმა საქართველომ იგრძნო და, სამწუხაროდ, გამოსცადა ის მომაკვდინებელი შედეგი, რაც ხალკუპაციო ჯარში ქართველი ახალგაზრდების სამსახურს მოხდევს. ქართველი ერი ბოიკოტს უცხადებს ოკუპანტების წითელ არმიაში თავისი შვილების გაწვევას. ამ დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამა წლის 17 აპრილს იღებს № 185 დადგენილებას „1989 წელს ახალგაზრდობის საკალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სასწავლებლებში მიღების შედეგებისა და 1963-1972 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა 1990 წელს გაწვევისათვის მომზადებისა და ჩატარების, სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნად ჭაბუკების შერჩევის ამოცანების შესახებ“.**

**დადგენილება გაუგონარი ცინიზმის, ღვარძლის და სიბოროტის ნიმუშია. საქართველოს სსრ ეგრეთ წოდებული მთავრობა კვლავ „ჩვეულ ფორმაშია“, არ ღალატობს ტრადიციებს.**

**დადგენილება ასე იწყება:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ 1989 წელს ახალგაზრდობის მომზადება და გაწვევა სამხედრო სამსახურში, განსაკუთრებით შემოდგომის პერიოდში, ჩატარდა მეტად რთულ ვითარებაში.

9 აპრილის ტრაგიკულმა ამბებმა, ეროვნებათაშორისმა კონფლიქტებმა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და ქვემო ქართლში უარყოფითი გავლენა მოახდინეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

1989 წლის შემოდგომის გაწვევის გეგმა შესრულდა მხოლოდ 88,3 პროცენტით, 1043 ახალგაზრდამ თავი აარიდა სამხედრო სამსახურში გაწვევას.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს აღმასკომებმა, მათმა სამხედრო კომისარიატებმა ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობაში სათანადო ახსნა-განმარტებითი და საგიტაციო მუშაობის ჩატარება, ხოლო სამართალდამცავმა ორგანოებმა არ გამოიჩინეს სათანადო მხარდაჭერა სამხედრო ორგანოებისადმი კანონის დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობისათვის. სანახევროდ შესრულდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნად ახალგაზრდობის შერჩევა, ხოლო გაგზავნილთა 40 პროცენტმა უარი განაცხადა მისაღები გამოცდების ჩაბარებაზე.

**შემდეგ ერთმანეთს ენაცვლება ასეთი დადგენილებისთვის ჩვეული ფრაზები, სიტუაციიდან გამოძრომის მისაღწევად დახახული ამოცანები და გზები. მკითხველს განსაკუთრებით დაინტერესებს რამდენიმე პუნქტი. აი, ისინიც:**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღოს კანონით დაწესებული ზომები იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საყოველთაო სამხედრო სამსახურს. ეთხოვოს საქართველოს სსრ პროკურატურას არ დაუშვას რეაგირების გარეშე კანონის დარღვევის ფაქტები.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა გააძლიერონ სამხედრო-პატრიოტული თემატიკის პროპაგანდა, უფრო ფართოდ და ნათლად აჩვენონ სამხედრო სამსახურის ჰეროიკა და საქმიანობა, ითამაღლონ სამშობლოს დამცველის პრესტიჟი.

იქ ზიზნით, რომ გაუმჯობესდეს წვევამდელთა საკალდებულო სამსახურში გაწვევის ორგანიზაცია, არ მოხდეს რესპუბლიკური გასაწვევი პუნქტის გადატვირთვა და ეროვნომია გაეწიოს გაწვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მიზანშეწონილად ჩაითვალოს 1990 წელს გაწვევა და სამხედრო ნაწილებში წვევამდელთა გაგზავნა მოხდეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაწვევი პუნქტებიდან.

ქ. ფოთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონების ახალგაზრდების გაწვევის ორგანიზაცია ჩაატაროს აჭარის ასსრ გამწვევმა კომისიამ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წვევამდელები, რომლებიც სამხედრო ნაწილებში იგზავნებიან თვითმფრინავით, გაეგზავნებიან თბილისის აეროდრომიდან.

მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საზღვარგარეთ და სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნი წვევამდელთა კონტიგენტი გაეგზავნება მხოლოდ თბილისის აეროდრომიდან.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა თავიანთი დადგენილებებით გადაწყვიტონ ყველა ორგანიზაციული საკითხები ახალგაზრდობის საკალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატმა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს რეგიონებში შექმნილ გამწვევ კომისიებს მათ მუშაობაში.

**დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. პეოანავა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე.**

**ვერც დადგენილებებით, ვერც „მკაცრი ზომებით“, ვერ აიძულებენ ქართველ ხალხს, შვილები საბაკლაოზე გაუშვან. ქართველი ერი ალარ მოტყუვდება. ერის გამოფხიზლება და ხანუკვარი მიზნისკენ ხეწრაფვა შეუჩერებელი პროცესია.**

# საქართველოს სსრ კანონი შრომითი სამსახურის შესახებ

**პროექტი**

### პირველი თავი
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** შრომითი სამსახური საკალდებულო სამხედრო სამსახურის ალტერნატიულია. იგი წარმოადგენს საქართველოს სსრ მოქალაქის შრომით მოვალეობას, იმსახუროს საქართველოს სსრ საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

შრომითი სამსახური ითვალისწინებს მოქალაქის მიერ საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საჭირო ან მომატებული საფრთხის შემცველი სამუშაოების, აგრეთვე კატასტროფებისა და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო, ანდა ნაკლებკვალიფიციური (დამხმარე) სამუშაოების შესრულებას.

**მუხლი 2.** შრომითი სამსახური უნდა გაიარონ საქართველოს სსრ 18-27 წლის ასაკის მოქალაქეებმა, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო აღრიცხვაზე, ექვემდებარებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევას და პაციფისტური, რელიგიური, ეთიკური ან პოლიტიკური მოტივების გამო უარს აცხადებენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე.

**მუხლი 3.** შრომითი სამსახურის ვადაა 30 თვე, ხოლო უმაღლესდამთავრებულთათვის — 12 თვე.

**მუხლი 4.** შრომითი მოსამსახურეები შრომით სამსახურს გადიან შრომითი სამსახურის კომისიების მიერ განსაზღვრულ ადგილებში საქართველოს ტერიტორიაზე.

**მუხლი 5.** შრომითი სამსახურის აღრიცხვაზე აყვანისას, პირი თავისუფლდება სამხედრო სამსახურისაგან.

თადარიგის სამხედრო ვალდებულს უფლება აქვს ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული მოტივების გამო, უარი თქვას სამხედრო სამსახურზე და მოითხოვოს შრომითი სამსახურის აღრიცხვაზე აყვანა.

**მუხლი 6.** შრომითი სამსახურის გავლის შემდეგ შრომავალდებული შეიძლება გაიწვიონ შრომით სამსახურში სამ თვემდე ვადით კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე, თუ არ იქნება ამ კანონის მე-7 მუხლის II ნაწილში აღნიშნული საფუძვლები.

**მუხლი 7.** ორმოცდაათი წლის მიღწევის შემდეგ შრომავალდებული იხსნება შრომითი სამსახურის აღრიცხვიდან.

შრომავალდებული ვადაზე ადრე მოიხსნება შრომითი სამსახურის აღრიცხვიდან, თუ იგი:

1) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოუსადეგარი გახდა შრომითი სამსახურისათვის;

2) გახდა I ან II ჯგუფის ინვალიდი;

3) სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა არაქმედუნარიანად.

**მუხლი 8.** შრომით სამსახურში არ გაიწვევიან:

1) მოქალაქეები, რომელთაც მოიხადეს საკალდებულო სამხედრო სამსახური;

2) პირები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოუსადეგარნი არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის;

3) I და II ჯგუფის ინვალიდები;

4) პირები, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილნი არიან არაქმედუნარიანად;

5) მოქალაქენი, რომელთაც გადაუვადდათ სამხედრო სამსახურში გაწვევა;

6) უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების სტუდენტები;

7) რელიგიური სასწავლო დაწესებულებების სტუდენტები;

8) სასულიერო პირნი;

იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 1, 2, 5 პუნქტში აღნიშნული მოქალაქეები გამოთქვამენ შრომით სამსახურში გაწვევის სურვილს, ისინი შეიძლება გაწვეულ იქნენ ამ სამსახურში.

### მეორე თავი
### შრომით სამსახურში გაწვევა

**მუხლი 9.** შრომით სამსახურში გაწვევის ორგანიზაციას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი სამსახურის მთავარი კომისია. შრომითი სამსახურის მთავარი კომისია ქმნის შრომითი სამსახურის რაიონულ (საქალაქო) კომისიებს.

**მუხლი 10.** მოქალაქეს, რომელიც პაციფისტური, რელიგიური, ეთიკური ან პოლიტიკური მოტივების გამო უარს აცხადებს შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მორიგ გაწვევამდე შეაქვს მოტივირებული განცხადება შრომითი სამსახურის რაიონულ (საქალაქო) კომისიაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) კომისია მოვალეა 10 დღის ვადაში განიხილოს შემოსული განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დადებითი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მოქალაქე ჩაითვლება შრომავალდებულად.

**მუხლი 11.** მოქალაქის თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) კომისიის თავის გადაწყვეტილების ასლს სამი დღის ვადაში უგზავნის დაინტერესებულ მოქალაქეს და შესაბამის სამხედრო კომისარიატს.

**მუხლი 12.** შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) და მთავარი კომისიის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება შრომითი სამსახურის კომისიების შესახებ.

### მესამე თავი
### დავების გადაწყვეტის წესი

**მუხლი 13.** შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) კომისიის გადაწყვეტილება შრომით სამსახურში გაწვევაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს შრომითი სამსახურის მთავარ კომისიაში იმ წესით და იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით.

თუ მოქალაქე არ ეთანხმება შრომითი სამსახურის მთავარი კომისიის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს იმ წესითა და იმ ვადებით, რაც დადგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების წარმოებისათვის.

**მუხლი 14.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება განხორციელდება სამოქალაქო სამართალწარმოებით დადგენილი წესით და ვადებში.

**მუხლი 15.** მოქალაქის თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იგივე მოტივით განცხადების შეტანა არ დაიშვება.

### მეოთხე თავი
### შრომითი სამსახურის გავლა

**მუხლი 16.** შრომით სამსახურში გაწვევის საფუძველია შრომითი სამსახურის კომისიის ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

შრომავალდებული ჩაითვლება შრომით მოსამსახურედ შრომითი სამსახურის კომისიის მიერ მითითებულ სამუშაო ადგილზე მიღების მომენტიდან.

**მუხლი 17.** შრომავალდებული შრომითი სამსახურის კომისიის მიმართვით იგზავნება ამ კომისიის მიერ მითითებულ სამუშაო ადგილზე.

შრომავალდებული მოვალეა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

**მუხლი 18.** საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია შრომითი სამსახურის კომისიის მიმართვის საფუძველზე მოვალეა დადოს შრომავალდებულთან შრომის ხელშეკრულება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით.

შრომითი სამსახურის ვადა აითვლება პირის სამუშაოზე მიღების დღიდან, რის შესახებაც ადმინისტრაცია აცნობებს შრომითი სამსახურის შესაბამის კომისიას.

შრომითი სამსახური მოქალაქეს ეთვლება შრომის საერთო სტაჟში.

**მუხლი 19.** შრომით მოსამსახურეებს აქვთ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მოვალეობა, გარდა შრომის ხელშეკრულების საკუთარი ინიციატივით მოშლისა.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას არა აქვს უფლება შრომითი სამსახურის შესაბამისი კომისიის გარეშე მოშალოს ხელშეკრულება შრომით მოსამსახურესთან.

**მუხლი 20.** შრომითი სამსახურის გავლის დროს შრომით მოსამსახურესა და ადმინისტრაციას შორის შრომით სამსახურთან დაკავშირებით წარმოშობილ ყველა საკითხს მათი განცხადების საფუძველზე წყვეტს შრომის სამსახურის შესაბამისი რაიონული (საქალაქო) კომისია.

**მუხლი 21.** შრომითი სამსახურის გავლის წესი რეგულირდება დებულებით შრომითი სამსახურის შესახებ.

**მუხლი 22.** შრომითი სამსახურისაგან თავის არიდების შემთხვევაში შრომითი მოსამსახურე პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მეხუთე თავი
### შრომითი სამსახურის შეწყვეტის წესი

**მუხლი 23.** შრომითი სამსახურის შეწყვეტის საფუძველია:

1) შრომითი სამსახურიდან შრომითი მოსამსახურის ვადაზე ადრე გათავისუფლება;

2) შრომითი სამსახურის დადგენილ ვადაში დამთავრება.

**მუხლი 24.** შრომითი სამსახურიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს წყვეტს შრომითი სამსახურის შესაბამისი რაიონული (საქალაქო) კომისია, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:

1) შრომითი მოსამსახურის დაავადმყოფება, რაც შეუძლებელს ხდის შრომითი სამსახურის შემდგომ გაგრძელებას;

2) თუ პირი გახდა I ან II ჯგუფის ინვალიდი;

3) თუ გახდა ერთადერთი მარჩენალი ოჯახში;

4) სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთისას სამ წელზე მეტი ვადით, აგრეთვე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთისას სამ წლამდე ვადით, თუ პირს სასჯელის მოხდის პერიოდში შეუსრულდა 27 წელი.

5) თუ პირი გამოთქვამს სურვილს, იმსახუროს შეიარაღებულ ძალებში.

**მუხლი 25.** შრომითი სამსახურის კომისიას აქვს უფლება განსაზღვროს შრომითი მოსამსახურის შრომითი სამსახურიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების სხვა შემთხვევები;

**მუხლი 26.** შრომითი სამსახურის ვადის შეჩერების შემთხვევებსა და საფუძვლებს განსაზღვრავს დებულება შრომითი სამსახურის შესახებ.

**მუხლი 27.** შრომითი სამსახურის შესაბამისი რაიონული (საქალაქო) კომისია არაუგვიანეს ერთი თვისა მოქალაქის შრომითი სამსახურის დამთავრებამდე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უგზავნის შეტყობინებას მოქალაქის შრომითი სამსახურის დამთავრების ვადის შესახებ.

**მუხლი 28.** შრომითი მოსამსახურის შრომითი სამსახურიდან გათავისუფლება ხდება შრომის კანონმდებლობის წესების დაცვით.

**მუხლი 29.** იმ შემთხვევაში, თუ შრომითი სამსახურის გავლის შემდგომ მოქალაქე გამოთქვამს სურვილს, იმუშაოს იმავე საწარმოში, დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში, იგი ადმინისტრაციასთან დებს ახალ შრომით ხელშეკრულებას შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

**კანონპროექტი შემუშავებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა ჯგუფის მიერ.**

# ლიტვის ამბები

**პრესკონფერენცია ლიტვის უმაღლეს საბჭოში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის**

**მონაწილენი: ლიტვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ვიტაუტას ლანდსბერგისი; ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი კაზიმერა-დანუტე პრუნსკენე; პრემიერ მინისტრის მოადგილე ალგირდას ბრაზაუსკასი; ლიტვის ენერგეტიკის მინისტრი აშმოტასი; ლიტვის რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე მორბუნასი;**

**3. ლანდსბერგისი:** უმაღლესი საბჭოს სესია რიგ საკითხებთან ერთად იხილავს ლიტვის ეკონომიკურ მდგომარეობას ეკონომიკური ბლოკადის პირობებში. საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა ბლოკადა ძირითად სტრატეგიულ პროდუქტსა და ძირითად საექსპორტო საქონელზე. საბჭოთა კავშირი მიზნად ისახავს შექმნას ლიტვაში უმუშევრობა და გამოიწვიოს მთავრობისადმი უკმაყოფილება და უნდობლობა.

ბლოკადის გამოცხადებით საბჭოთა კავშირმა დაარღვია მის მიერ უმაღლეს საბჭოზე მიღებული ბლოკადის საწინააღმდეგო კანონი.

ვაპირებთ ლიტვა გამოვაცხადოთ უბედურების ზონად, საბჭოთა კავშირი გამოიყენებს ნებისმიერ საშუალებას თავდასასხმელად, ისევე როგორც ძალადობის ეკონომიკურ ფორმებს.

**კითხვა:** ხომ შეიძლება საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების შეფასებისას ამერიკელი პოლიტოლოგები და რადიოსადგური „ამერიკის ხმა“ სცდებოდეს და ამდენად შეცდომაში შეჰყავდეს ისინი, ვინც მას ყურს უგდებს, ანდა ხომ შეიძლება გორბაჩოვი არ იყოს „დემოკრატიის მამა“?

**ლანდსბერგისი:** შესაძლებელია ყველაფერი გაირკვეს, ილუზიებმა და იმედებმა კონკრეტული, რეალური გამობატულება მიიღონ. ნეიტრალურ წყლებში მყოფმა ტანკერებმა შეიძლება გადაწყვიტონ ეს საკითხი. ტანკერებს გადაუკეტავენ ლიტვისაკენ მიმავალ გზებს და ლიტვა აღმოჩნდება საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური ომის მდგომარეობაში მაშინ, როდესაც ლიტვა წინააღმდეგია ყველანაირი ომისა, აგრესიისა. ჩვენ ჩაგვკეტავენ ციხეში. ეს იქნება საინტერესო ციხე.

**კითხვა:** როგორ მიმდინარეობს ელექტროენერგიის მიწოდება?

**აშმოტასი:** ყველა ელექტროსადგური მუშაობს. ჩვენ ვართ ერთ ჩრდილო-დასავლეთ სისტემაში ჩართული და ამ სისტემის გაჩერება შეუძლებელია იმიტომ, რომ იგი გამოიწვევს ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებსა და კალინინგრადის ოლქში ელექტროენერგიის ნაკლებობას და მთელ რიგ, მათ შორის, სტრატეგიულ სირთულეებს.

**კითხვა:** მასლიუკოვმა თქვა, თუკი ლიტვა ორი წლით გადასდებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და აღიარებს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას, შეიძლება მოვილაპარაკოთ ეკონომიკური ბლოკადის შეჩერებაზეო.

**ლანდსბერგისი:** ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვართ, მაგრამ იმ პირობით, თუკი შენარჩუნებული იქნება 11 მარტის დამოუკიდებლობის აქტი. ჩვენ გვეუბნებიან, დავბრუნდეთ უკან ციხეში, სადაც უსამართლოდ ვიყავით დატყვევებულნი და საიდანაც, როგორც იქნა, დავაღწიეთ თავი. ახლა გვეუბნებიან, იჯექით ხქ კიდევ ორი წელიწადი, შემდეგ ჩვენ გაგამართლებთ და ისევ გაგიშვებთო.

**კითხვა:** სიტუაცია ლიტვაში კრიზისულია. რა შედეგები ექნება გორბაჩოვ-ბუშის მოლაპარაკებას ლიტვაზე?

**ლანდსბერგისი:** ლიტვის საკითხი უნდათ წარმოიდგინონ ნაკლებ მნიშვნელოვნად, ვიდრე სხვა საკითხები. შეიძლება განზრახ აუარონ გვერდი ლიტვის საკითხს. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ თუკი მოსკოვი არ მოახდენს ლიტვის საკითხის სწრაფ გადაჭრას, მის სწრაფ ლიკვიდაციას, შეხვედრის შედეგად ლიტვის მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს.

**კითხვა:** როგორია ლიტვის ეკონომიკური მდგომარეობა?

**პრუნსკენე:** სტატისტიკური სისტემის მეშვეობით ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ვფლობდეთ სიტუაციას. გვაქვს ხორცისა და რძის დიდი რაოდენობა. ამას გარდა ვიყენებთ შემოტანილ პროდუქტებს. მცირედი შეზღუდვებით ჩვენ განვსაზღვრეთ მოთხოვნილება თვის და კვარტლის მიხედვით. ჩვენ გვაქვს პროდუქტების სამყოფი ორი თვის მარაგი, მაისისა და ივნისისათვის. იცით, რომ შევაჩერეთ 8000 ტონა მოსკოვისათვის და 4000 ტონა ლენინგრადისათვის რძისა და ხორცის პროდუქტების მიწოდება. ამ მხრივ ამ ქალაქებს აქვთ სიძნელეები. სიძნელეები ჩვენთანაც არის. ბენზინის მარაგი გვეყოფა 20 მაისამდე. 1 მაისს გაჩერდა ბევრი ბინათმშენებელი კომბინატი. გვექნება პრობლემა ხორცის შენახვისა. რადგან არ გვიგზავნიან ნედლეულს მსხვილფეხა პირუტყვის კომბინატებისათვის, არ გვექნება კომბინირებული საკვები. ბენზინის უქონლობის გამო შეჩერდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების ექსპლუატაცია. წარმოების შემცირების გამო წარმოიშვება უმუშევრობა. რამდენიმე თვეში მოსალოდნელია ლიტვის მოსახლეობის ნახევარი დარჩეს სამუშაოს გარეშე.

**კითხვა:** რა პოლიტიკური სახის ღონისძიებებს იღებს პრეზიდიუმი და კომისია ეკონომიკური ბლოკადის საწინააღმდეგოდ?

**ლანდსბერგისი:** ლიტვის უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა კანონი ეკონომიკური ბლოკადის არსებობის პირობებში დროებითი ღონისძიებების შესახებ. ამ კანონის მიხედვით განსაკუთრებულ შემთხვევებში მთავრობას ეძლევა თვითმმართველობის უფლება.

მოსკოვში იმყოფება ჩვენი დელეგაცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კუზმინსკასის მეთაურობით. შეხვედრა პრიმაკოვთან დამთავრდა. არც ისე ზრდილობიანი მოთხოვნით, რომ დელეგაცია გაემგზავროს შინ და მოიქცეს ისე, როგორც ამას მოსკოვი მოითხოვს. გორბაჩოვი თავს არიდებს ჩვენს დელეგაციასთან შეხვედრას, ამბობენ, იგი დაკავებულია, ემზადება ბუშთან შესახვედრადო. დეპუტატები ლავრენკუსი და კუდიატესი ცდილობენ ლუკიანოვთან შეხვედრას.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობამ პირობა მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ლიტვის წინააღმდეგ არ გამოიყენებდა ძალადობის არავითარ ფორმას და რომ ეკონომიკური ძალადობის, ბლოკადის გამოყენების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართავდა შეზღუდვების რიგ ფორმებს. მაგრამ ახლახან ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტმა თავი შეიკავა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სანქციების გატარებისაგან. პრეზიდენტის თქმით, ასეთი სანქციები საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ გამოიწვევდა საერთო მდგომარეობის გაუარესებას და აგრეთვე საბჭოთა მოქმედების ესკალაციას და უარეს შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენებას ლიტვაში. ასეთი შანტაჟის ლოგიკის გაგება ძნელია; ამერიკის მთავრობის საბჭოთა მთავრობასთან კონსულტაცია ამ საკითხში შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა მთავრობის ძუქარის საწინააღმდეგოდ უკან დახევად. ჩვენ უპირველეს ყოვლისა იმედი უნდა დავამყაროთ ჩვენს საკუთარ ძალებზე, შრომის მოყვარეობაზე, გამძლეობაზე — თვისებებზე, რომლებმაც ჩვენ გაძარჯვება მოგვიტანეს 1918 წელს და რა თვისებებმაც აქამდე გაგვაძლებინა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის 40 წლის ბატონობის პირობებში.

**კითხვა:** რა ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები შეიილება გატარდეს ლიტვაში, თუკი ბლოკადა გახდება სრული?

**პრუნსკენე:** ეკონომიკური ბლოკადა ახლა, შეიძლება ითქვას, რომ თუკი სრული არა, საყოველთაო ხასიათისაა. მთავრობა იმოქმედებს ზუსტი სტრატეგიული გეგმით, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: 1) უნდა მივიღოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც აიძულებენ საბჭოთა მთავრობას, რომ გაცალოს ჩვენთან დიალოგი; 2) უნდა დავამყაროთ პირდაპირი კავშირები საბჭოთა კავშირის, რესპუბლიკების და საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებთან და ძირითადად ვაწარმოოთ ნატურით გაცვლა; 3) დავდოთ ქვეყნებთან პეოსპექტიული ხელშეკრულებები; 4) უნდა შევცვალოთ საწარმოთა კვალიფიკაცია, მოვძებნოთ ნედლეულის გადამუშავების ახალი გზა, სრულდ გამოვხაყნოთ ბლოკადის ნეიტრალიზაციის შინაგანი საშუალებები; 5) უნდა შევძლოთ სოციალურ სფეროში ბლოკადის შედეგების ნეიტრალიზაცია, როგორც ბაზრის დაცვა-შენარჩუნებით, ასევე ბაზარზე დამატებითი საქონლის გატანით, უმუშევართა კომპენსაციით, მოსახლეობის შრომითი მოწყობით და სხვა.

გავატარებთ კონკრეტულ ღონისძიებებსაც. ვაწარმოებთ საბჭოთა კავშირიდან მიღებული იმპორტული საქონლის აღრიცხვას. იმის გამო, რომ ანგარიშსწორება ბანკის მეშვეობით პარალიზირებულია და რომ ექვივალენტური კავშირები ფუნქციონირებდეს, უნდა ვაწარმოოთ ანგარიშსწორება თითქმის საბაზრო ფასის პირობებით, დიფერენციირებულად თითოეულ კონკრეტულ პარტნიორთან სახელშეკრულებო შეთანხმების გადაწყვეტილებებით. დღევანდელ პირობებში გაიზარდა რა ხორცის პროდუქტების რეალიზაციის საშუალება, კავშირში გატანის შეზღუდვებისას შემცირდა რა მათი შენახვის შესაძლებლობა, გაიზარდა მათი გაყიდვის აუცილებლობა. ეკონომიკური სანქციების გამო საწარმოები უკვე აპრილის თვიდან გახთავისუფლებული არის ხელშეკრულების დარღვევის გამო ჯარიმის გადახდისაგან. ბანკები მოამზადებს და ბეჭდავს ანტიინფლაციურ ღონისძიებებს. დაწესდება გატანილ საქონელზე კონტროლი. შედგენილია ყველაზე მხიშვნელოვანი პროდუქტებისა და საქონლის სია, განხილულია სხვა პირობებით საზღვარგარეთ მისი კრედიტით შესყიდვის შესაძლებლობა. მაგრამ ჩვენს მიერ მიღებული ყველა ღონისძიება იქნება აბსურდული, თუ ვერ მივაღწიეთ კლაიპედის პორტში უცხოეთის გემების შემოსვლას. უნდა გადაწყვეტოთ საკითხი, გავუკეთოთ თუ არა ჩვენს ტერიტორიაზე ტრანზიტულ გადაზიდვებს ბლოკირება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის გართულება, თუ მხოლოდ დავიცვათ სამართლებრივი ნორმები, არ წავიდეთ გართულებაზე.

**კითხვა:** გაუძლებთ ბლოკადას?

**პრუნსკენე:** გავუძლებთ თუ არა ბლოკადას, ეს დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ მთავრობა და პარლამენტი როგორ ეფექტურად იმუშავებს, არამედ იმაზე, თუ როგორ გამძლეობას, გამბედაობას, ერთიანობას და სიმშვიდეს გამოიჩენს ხალხი. ერის სულიერი პოტენციალი დიდია. ეს პოტენციალი ძლიერდება სხვა ხალხების ლიტველებისადმი სოლიდარობის აქციით. პარლამენტმა განიხილა საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება ბლოკადის ფონდის შექმნის შესახებ. მე ჩემი თვიური ხელფასის ნახევარს შევიტან ბლოკადის ფონდში, ვიდრე ბლოკადა გაგრძელდება.

## „საიუდისის“ II ყრილობა

„საიუდისი“ თავდაპირველად ჩამოყალიბდა როგორც დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენა. კონსერვატორულ ავტოკრატიას სურდა „საიუდისის“ სადისკუსიო კლუბად გადაქცევა, მისი საინიციატივო ჯგუფში ჩაკეტვა, ძისთვის ხელისუფლების ინტელექტუალური მრჩევლის როლის მიკუთვნება, მაგრამ „საიუდისმა“ დასძლია ეს წინააღმდეგობა, მოამზადა ლიტვის ხსნის პროგრამა და 1989 წლის 22 ნოემბერს მორალური დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა მორალური პრინციპების გათვალისწინებით ეროვნული ძალების შეკავშირება, ეროვნული ცხობიერების გაღვიძება იყო. „საიუდისმა“ არა მარტო შეძლო ეროვნული ძალების გამოცოცხლება, არამედ გამოაცოცხლა რა კონსერვატორულ ლიბერალიზმში არსებული ეროვნული ძალები, მოწყვიტა რა პარტოკრატიას დემოკრატიულ-პატრიოტული ძალების პროგრესული ნაწილი, გააერთიანა კიდევაც ისინი ინტელიგენციასთან და პროგრესული, პატრიოტული ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილებთან. „საიუდისმა“ დასძლია ხალხში შიშის ინერცია, ეროვნულ მოძრაობაში ინერტულობა, უინიციატივობა, ლიდერის იმედით ყოფნის პასიური ფორმა. „საიუდისი“ გზადაგზა ხვეწდა მეთოდებს, მოქმედებდა პრინციპით — სამართლიანობა ჭეშმარიტებაა — და საბოლოოდ არსებული სიტუაციისა და მდგომარეობის გათვალისწინებით მივიდა კვალიფიციურ პარლამენტარიზმამდე, გამოაცხადა იგი თავისი მოქმედების ძირითად სტრატეგიად. „საიუდისი“ გახდა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია, გახდა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო და ლიტვის წარმომადგენელი საზღვარგარეთ და რესპუბლიკებში. „საიუდისმა“ გაიმარჯვა არჩევნებში, მიიღო უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ხმების უმრავლესობა და კონსტიტუციური პარლამენტარიზმის გზით 1990 წლის 11 მარტს უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიიღო ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1990 წლის 21-22 აპრილს შედგა „საიუდისის“ II ყრილობა.

ყრილობის გამართვა აუცილებელი შეიქმნა რიგი მიზეზების გამო, უმთავრეს მიზეზთაგანი იყო „საიუდისის“ ხელმძღვანელი ორგანოების რეორგანიზაციის საკითხი. „საიუდისის“ წევრების ლიტვის უმაღლეს საბჭოს დეპუტატებად არჩევის შედეგად „საიუდისმა“ დაკარგა სეიმის, სეიმის საბჭოსა და გამგეობის წევრების უდიდესი ნაწილი, ხოლო სეიმის გამგეობის თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისი ლიტვის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. საჭირო იყო ახალი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი იყო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „საიუდისის“ ფუნქცია დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდგომ. საჭირო იყო წესდების მიღება და პროგრამაში შესწორებების შეტანა, საჭირო იყო „საიუდისის“ მოქმედების სტრატეგიის შემუშავება ეკონომიკური ბლოკადის პირობებში.

აზრთა სხვადასხვაობისა და მძაფრი დაპირისპირების მიუხედავად კამათი არ სცილდებოდა პარლამენტური პაექრობის ნორმებს. ადგილი არ ჰქონია ეგზალტირებულ მოწოდებებსა და კონკრეტულ, პრაქტიკულ წინადადებებს მოკლებულ ლოზუნგებს. ყრილობის დელეგატები ერთსულოვანნი იყვნენ ერთ საკითხში, ლიტვა უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეს ახლად დეკლარირებული სახელმწიფო საჭიროებს გაძლიერებას. ცხარე კამათი და აზრთა დაპირისპირება გამოიწვია უმთავრესმა საკითხმა, როგორი უნდა იყოს „საიუდისი“; იგი უნდა გარდაიქმნას კლასიკური ტიპის პარტიად, თუ ვიხმაროთ „საიუდისის“ შესახებ მიღებული. და ყრილობაზე ლანდსბერგისის მიერ გამეორებული გამოთქმა, „საიუდისი“ უნდა დარჩეს ქოლგად, რომელიც შედგება მისი ამამოძრავებელი მრავალი მავთულისაგან, ე. ი. განსხვავებული კომპონენტების გამაერთიანებელ საერთო სახალხო მოძრაობად. პარტიის მომხრეებს სურდათ, „საიუდისი“ ყოფილიყო მდგრადი პოლიტიკური ორგანიზაცია, უმაღლესი საბჭოს ხელშემწყობი და დამხმარე, მისი იდეების ფართო მასებში გამტანი და პოპულარიზატორი. სეიმის უხუცესი წევრის ადგომანდას ჩიუკის სიტყვებით, ასეთი პარტია ემსგავსება ბოლშევიკურ, კლასურ ორგანიზაციას, რომელიც არ ითვალისწინებს რა ადამიანთა ნება-სურვილს, ორგანიზაციული ძალადობით ახვევს თავის უმცირესობის ნებას უმეტესობას. ასეთი ხერხების გამოყენება ეროვნულ-პოლიტიკურ სტრუქტურაში წარმოიდგინება რელიქტად, ძველი ეპოქის გადმონაშთად. იმ იდეების მომხრეები, რომ „საიუდისი“ დარჩენილიყო საერთო სახალხო მოძრაობად, ეყრდნობოდნენ აზრს, რომ ლიტვის საზოგადოება არ წარმოადგენს დასავლეთ ევროპის დემოკრატიის სარკისებრ ანარეკლს, სადაც არსებობენ კლასიკურ ფორმებად ჩამოყალიბებული კლასები: მუშათა კლასი,გლეხები, ხელოვანები, წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია და სხვა და არ არსებობს მათი კლასობრივ ინტერესებით დაპირისპირება. კომუნისტური იდეით ადამიანთა ფსიქოლოგიის გადახარშვა-გადაგება და კლასები დაყოფილნი არიან არა სოციალური ჯგუფების, არამედ მოსაზრებების მიხედვით. მაგრამ პარტიების ჩამოყალიბებისას უმთავრესი საშიშროება მდგომარეობდა იმაში, რომ დასაბამი მიეცემოდა ფრაქციულობასა და პარტიებად დაყოფას, მრავალპარტიულობა დაქსაქსავდა ეროვნულ მოძრაობას, გამოიწვევდა ეროვნული სხეულის პარტიულ ბინებში დანაწილებას, შეასუსტებდა წინააღმდეგობას, მოწინააღმდეგეს კი პარტიების დაპირისპირებით თავისი პოზიციის გამაგრება-გაძლიერების საშუალებას მისცემდა. და ბოლოს, რაც მთავარია, „საიუდისის“ პარტიად ჩამოყალიბების მოწინააღმდეგეთა აზრით ლიტვის წინაშე ახლა დგას მხოლოდ ერთადერთი ამოცანა, რომელიც არაა კლასობრივი. ესაა ეროვნული თავისუფლების პრობლემა, რომელიც მოიპოვება მაშინ, როცა თავისუფლების იდეა საყოველთაოა, მოიცავს ერის უმეტეს ნაწილს და არა, შეიძლება მობილურ, მაგრამ მნიშვნელოვნად მცირე ჯგუფს.

მეორე პოზიციის მომხრეთა აზრით „საიუდისი“ უნდა დარჩეს საერთო-სახალხო მოძრაობად, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია საზოგადოების ნებისმიერ წევრს. ვიტაუტას ლანდსბერგისის გამოთქმით „საიუდისი“ უნდა იყოს პოლიტიკური დინება მთავარი კალაპოტით, ჩქარი და შენელებული დინებით, ნაპირებითა და მორევებით, ჩანჩქერებითა და განშტოებებით, მაგრამ მაინც ერთი საერთო მიმართულების დინებით. ამ პოზიციის მომხრეთა აზრით ლიტვის დღევანდელ პარლამენტს აუცილებლად სჭირდება მეგობრული, კონსტრუქციული, ლეგალური სამართლებრივი ოპოზიცია. მათ, აუცილებელი არაა მთავარ საკითხში, ლიტვის დამოუკიდებლობის საკითხში ჰქონდეთ განსხვავებული აზრი, მაგრამ გამოსახვის ფორმებსა და ტემპებში შეიძლება გააჩნდეთ საპირისპირო პოზიცია. აგრეთვე ეს უნდა იყოს კრიტიკულ-კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც შეისწავლის პარლამენტის საქმიანობას, მიუთითებს შეცდომებზე. პარლამენტმა უნდა იცოდეს, რომ მას შეცდომებს არ აპატიებენ. სხვა მიზეზი ოპოზიციად ყოფნისა ისაა, რომ არ წარმოიქმნას დემაგოგიური, ანდა არაკონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც შეიძლება გახდეს უკმაყოფილო მოსახლეობის ნაწილის ნების გამომხატველი. ასეთ დემაგოგიურ პარტიად შეიძლება ჩამოყალიბდეს, მაგალითად, ლიტვის კომუნისტური პარტია. „საიუდისი“ მობილური სტრუქტურისაა, მისი ჯგუფური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს როგორც უბრალო, ასევე აქტიურ წევრებს, ისეთნაირად არის შედგენილი, რომ მას უფრო მიუდგება საზოგადოებრივი, ვიდრე პარტიული ფუნქცია. კენჭის ყრისას დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს საერთო-სახალხო მოძრაობის მომხრეებმა. პოლიტიკური მდგომარეობის ამ ეტაპზე არ ჩაითვალა მიზანშეწონილად „საიუდისის“ პარტიად გარდაქმნა. „საიუდისი“ კვლავ გაფორმდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად.

ყრილობაზე მიიღეს წესდება, შეიტანეს შესწორებები პროგრამაში.

საერთო-სახალხო მოძრაობად გაფორმებამ გადაწყვიტა „საიუდისის“ წევრობის საკითხი. მოძრაობის ხალხურობიდან გამომდინარე, გადაწყდა: თავიდან რომ აეცილებინათ კონტროლისა და აღრიცხვის ფორმალური მომენტი, არ რეგისტრირებულიყო გაწევრიანება, არ დაწესებულიყო საწევრო გადასახადი. წევრობა დამყარებულიყო მხოლოდ პირად სურვილზე. წევრი თავისუფალი ნებით უნდა გამოხატავდეს ლიტვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის მოღვაწეობის სურვილს. წევრი ეროვნულ მოძრაობასთან სულიერად უნდა იყოს დაკავშირებული და არა რაიმე ნორმატიულ-ნორმენკლატურული პირობებით, თუ უპირატესობით. „საიუდისის“ არც ერთ წევრს არ გააჩნია რაიმე პრივილეგია ანდა უპირატესობა სხვა წევრთან შედარებით, უპირატესობა მხოლოდ მოძრაობის ინტენსივობაში ვლინდება. წევრად აღიარებული იქნება ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც არ ეწინააღმდეგება წესდებას. უარყვეს წინადადება „საიუდისში“ კოლექტიურ წევრთა გაერთიანების შესახებ. დადგინდა — ჯგუფი შეიძლება შეიქმნას სოფლად 3 წევრის, ხოლო ქალაქად 5 წევრის მინიმალური რაოდენობით. დელეგირება მოხდება არა ჯგუფების მიხედვით, არამედ რაიონული და საქალაქო საბჭოების წევრთა რაოდენობის პროპორციულად, კონფერენციაზე კენჭის ყრით. ჯგუფებად გაერთიანდებიან ნებაყოფლობით როგორც რეგიონული ინტერესების, ასევე მოსაზრებების და მრწამსის მიხედვით. ჩამოყალიბდა საორგანიზაციო სტრუქტურა: სეიმი სათათბირო უფლებით; სეიმის საბჭო, როგორც აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანო: გამგეობა, მმართველი ორგანო. ყრილობას თავმჯდომარე არ აურჩევია. ძველი გამგეობიდან დარჩენილმა 12 წევრმა ორგანიზაცია უნდა გაუწიო ახალი სეიმის არჩევნებს, რომელიც თავის მხრივ აირჩევს ახალ თავმჯდომარეს. დელეგატების წარდგენა სეიმში მოხდება ადგილებზე, საქალაქო და რაიონულ კონფერენციებზე და არა პირველად ჯგუფებში.

ყრილობამ მიიღო „საიუდისის“ სამოქმედო გეგმა ეკონომიკური ბლოკადის პირობებში, გადაწყვიტა მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები და მიიღო მომავალი მოქმედების საპროგრამო დოკუმენტები.

**მასალები მოამზადა „საქართველოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა**

**ამირან დოლიძემ**

**„თითოეულ ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით“.**

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**
**(მუხლი 21, პუნქტი 1)**

**ადამიანთა** საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მმართველობა უნდა ხორციელდებოდეს ხალხის ინტერესებისათვის და მისი ნების შესაბამისად. როგორც სახელმწიფო სამართლის ცნობილი ინგლისელი სპეციალისტები ლეიკმენი და ლემბერტი აღნიშნავენ, „ისინი, ვისაც მართავენ, ვალდებულნი არიან აღიარონ თავიანთი მმართველები და ეს აღიარება დაფუძნებული უნდა იყოს შეგნებულ არჩევანზე და არა მორჩილებაზე“.

თანამედროვე დემოკრატიული სამყაროს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს სხვადასხვა დონის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები წარმოადგენს. ასეთი ორგანოები ფორმირდება მოქალაქეთა მიერ კანონის შესაბამისად არჩეული პირებისაგან. სხვადასხვა ქვეყანაში არჩევნების როლი და მნიშვნელობა სხვადასხვაა. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთში აირჩევა მხოლოდ პარლამენტის ქვედა პალატა (თემთა პალატა) და ადგილობრივი ორგანოები (საგრაფოების, მუნიციპალური და არამუნიციპალური ქალაქების საბჭოები). საფრანგეთში გაცილებით მეტი არჩევითი ორგანო და თანამდებობაა. აირჩევა ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის ორივე პალატა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციით გარანტირებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება, თუმცა იგი რეგულირდება აქტიური (ხმის მიცემის უფლება) და პასიური (წარმომადგენლობით ორგანოებში კანდიდატად დასახელების უფლება) საარჩევნო უფლების განმსაზღვრელი ცენზებით. მათგან ძირითადია: „ასაკობრივი“, „ბინადრობის“ და „სქესობრივი“ ცენზი.

„ასაკობრივი ცენზი“ გულისხმობს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებას გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ. მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე ბევრ ქვეყანაში მოქმედებდა საკმაოდ მაღალი „ასაკობრივი ცენზი“ (21-25 წ), უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში კი მისი შემცირების ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად, 1969 წელს დიდი ბრიტანეთის საარჩევნო კანონით ეს ცენზი 21 წლიდან 18 წლამდე შემცირდა. ანალოგიური ცვლილებები შეიტანეს გფრ-ის (1970 წ.), აშშ-ს (1971 წ.), საფრანგეთის (1974 წ.), ავსტრიის, ბელგიის, იტალიის და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1918-21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული „ასაკობრივი ცენზი“ 20 წელს შეადგენდა.

ამჟამად ყველაზე მაღალი „ასაკობრივი საარჩევნო ცენზი“ მოქმედებს ანდორაში, სადაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც 25 წელი შეუსრულდათ. ყველაზე დაბალი კი ეს ცენზი ფილიპინებზეა — 15 წელი. პასიური საარჩევნო უფლების განსაზღვრისათვის უფრო მკაცრი მოთხოვნებია დაწესებული, მაგალითად, პარლამენტის ქვედა პალატის წევრობის კანდიდატისათვის „ასაკობრივი ცენზი“ 23-25 წელს შეადგენს, ხოლო ზედა პალატის წევრთათვის — 30-40 წელს.

„ბინადრობის ცენზის“ თანახმად საარჩევნო უფლება ენიჭება მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებიც გარკვეულ ადგილზე განსაზღვრული დროის განმავლობაში ცხოვრობენ. ეს ცენზი მრავალ ქვეყანაში გამოიყენება, თუმცა თითოეულ შემთხვევაში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. საპარლამენტო არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების მიღებისათვის აშშ-ში საჭიროა უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე შესაბამის საარჩევნო ოლქში მუდმივად ცხოვრება, გფრ-ში ეს ვადა 3 თვეს უდრის, საფრანგეთში — 6 თვეს, ხოლო კანადაში — 1 წელიწადს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ. „სქესობრივი ცენზი“ წლების მანძილზე საარჩევნო უფლების ერთ-ერთი ყველაზე შეუვალი და მყარი შემზღუდველი ინსტრუმენტი იყო. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ქალთა სქესის წარმომადგენლების ასეთი დისკრიმინაციული მდგომარეობა დაძლეულია. ქალებმა საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონკრეტულად კი ვაიომინგის შტატში მიიღეს 1869 წელს, ხოლო პირველი ქვეყანა, რომელმაც ეს ცენზი სახელმწიფოს მასშტაბით გააუქმა, ახალი ზელანდია იყო (1893 წ.). 1918 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი „ქალთა კვალიფიკაციის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „ქალთა სქესისადმი კუთვნილება არ შეიძლება წარმოადგენდეს ხელისშემშლელ გარემოებას საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის“. აშშ-ში ცენტრალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალებმა 1920 წელს მიიღეს, საფრანგეთში — 1944 წელს, ხოლო შვეიცარიაში მხოლოდ 1971 წელს. აქაც ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს დამტკიცებული საარჩევნო კანონის თანახმად პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) არჩევნებში მონაწილეობის უფლება „ორივე სქესის მოქალაქეს“ ჰქონდა.

როგორც წესი, არჩევნები კანონით დადგენილ ვადებში ტარდება. აშშ-ში ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, ნოემბრის პირველ სამშაბათს, წარმომადგენელთა პალატის მთელი შემადგენლობის და სენატის ერთი მესამედის გადარჩევნები ეწყობა. პარლამენტურ რესპუბლიკებში და პარლამენტურ მონარქიებში არჩევნები ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ტარდება. ასეთ არჩევნებს მორიგი არჩევნები ეწოდება. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის ვადამდე გაწვევა მოხდება, ინიშნება რიგგარეშე არჩევნები. ამ ქვეყნებში (დიდ ბრიტანეთი, იაპონია, იტალია, საფრანგეთი, ბელგია და სხვა) არჩევნების ჩატარების ვადები დიდადაა დამოკიდებული პოლიტიკურ სიტუაციაზე.

არჩევნები იწყება საარჩევნო კამპანიით, რომელიც ხმის მიცემის დღეს (ეს დღე განსაზღვრულია კონსტიტუციით ან მითითებულია სახელმწიფოს მეთაურის დადგენილებაში) მთავრდება. არჩევნები ტარდება საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლებიც განისაზღვრება ცენტრალური მთავრობის მიერ. თუ თითოეული ოლქიდან ირჩევა ერთი დეპუტატი, ასეთ ოლქს ერთმანდატიანი, ანუ უნინომინალური ოლქი ეწოდება, ხოლო, თუ თითოეული ოლქიდან რამდენიმე დეპუტატი ირჩევა, მრავალმანდატიანი, ანუ პოლინომინალური. ჩვეულებრივ, კანონით გათვალისწინებულია თანაბარი ოლქების შექმნა, რათა ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობის მიერ დეპუტატთა თანაბარი რაოდენობა აირჩეს. საარჩევნო ოლქი იყოფა საარჩევნო უბნებად, რომელთა მიხედვით ხდება ამომრჩეველთა რეგისტრაცია, აქვე ეწყობა ხმის მიცემის პუნქტები. არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საქმიანობას წარმართავენ სპეციალურად შექმნილი საარჩევნო კომისიები, რომელთა ჩამოყალიბების წესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. ზოგიერთ მათგანში საარჩევნო კომისიებთან ერთად ამ ფუნქციებს მუნიციპალიტეტები და შინაგან საქმეთა ორგანოები ინაწილებენ. არჩევნების მნიშვნელოვან ეტაპს ამომრჩეველთა რეგისტრაცია და საარჩევნო სიების შედგენა წარმოადგენს. ანსხვავებენ ამომრჩეველთა რეგისტრაციის ორ ძირითად სისტემას — მუდმივსა და პერიოდულს. მუდმივი სისტემის მოქმედებისას ერთხელ რეგისტრირებული ამომრჩეველი ალარ არის ვალდებული ხელახალი რეგისტრაცია გაიაროს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამომრჩეველი საცხოვრებელ ადგილს, ანდა გვარს იცვლის). პერიოდული სისტემის ფუნქციონირების დროს ამომრჩევლები პერიოდულად გადიან რეგისტრაციას კანონით დადგენილ ვადებში.

საარჩევნო კამპანიის შემდეგი ეტაპი დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებაა. არსებობს კანდიდატთა წამოყენების კანონით დადგენილი სხვადასხვა წესი; საჭიროა ან თვით კანდიდატის მიერ განცხადების წარდგენა შესაბამის ორგანოში (ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ასეთ განცხადებას ხელს აწერდეს ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობა), ანდა კანდიდატის ოფიციალური წარდგენა პარტიის მიერ. აშშ-ში კანდიდატთა დასახელება ხდება იმავე წესით, როგორც დეპუტატების არჩევა, ამიტომ ამ პროცედურას პირველად არჩევნებს — პრაიმერიზს — უწოდებენ.

კანდიდატთა დასახელების შემდგომ ხმის მიცემის პროცედურა იწყება. ამ აქტს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებელნი სხვადასხვაგვარად აფასებენ. ზოგან იგი განიხილება, როგორც ამომრჩევლის სუბიექტური უფლება, ზოგან კი, როგორც ამომრჩევლის მოქალაქეობრივი ვალი, რომლის არ შესრულება სხვადასხვა სახის სანქციებით ისჯება (მაგ. ავსტრიაში ოთხკვირიანი პატიმრობა და ფულადი ჯარიმა, ავსტრალიაში და ლუქსემბურგში ფულადი ჯარიმა და ა. შ.). ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოხატვის აუცილებელი გარანტიაა ფარული კენჭისყრა, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაშია დაკანონებული.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების პროცედურას, ანუ საარჩევნო სისტემას, რომლის ხასიათი არა მარტო წარმომადგენლობითი ორგანოების პერსონალურ შემადგენლობას განაპირობებს, არამედ ზშირად ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც დიდ გავლენას ახდენს. ამის მაგალითია პრეზიდენტის არჩევნები ჩილეში 1970 წელს, როდესაც აშკარად არასრულყოფილმა საარჩევნო სისტემამ საშუალება მისცა სოციალისტ ალიენდეს ქვეყნის პრეზიდენტი გამხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ მას საზოგადოების საკმაოდ მცირე ნაწილი უჭერდა მხარს (მიიღო ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 36, 3%). ამან ქვეყანა შინაგან კონფრონტაციამდე მიიყვანა, რასაც ალიენდეს ხელისუფლების იძულებით დამხობა და დიქტატორული რეჟიმის დამყარება მოჰყვა. ჩილეს ისტორია, ალბათ, სულ სხვაგვარად განვითარდებოდა, პრეზიდენტის არჩევნებისას უფრო სრულყოფილ საარჩევნო სისტემას რომ ემოქმედა.

სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო სისტემებიდან ძირითადია ორი: მაჟორიტარული და პროპორციული.

მაჟორიტარული სისტემის შესაბამისად საარჩევნო ოლქში არჩეულად ითვლება კანდიდატი, ან კანდიდატთა სია, რომელმაც დააგროვა ხმების წინასწარ განსაზღვრული უმრავლესობა. განასხვავებენ მაჟორიტარული სისტემის ორ ძირითად სახეს: აბსოლუტური და ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემებს.

აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის მოქმედებისას არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც დააგროვა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა (ხმების ნახევარზე მეტი), ხოლო ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის მოქმედებისას კანდიდატის ასარჩევად ხმების უბრალო უმრავლესობაა საკმარისი.

მაჟორიტარული სისტემის გამოყენებით ტარდება არჩევნები დიდ ბრიტანეთში (თემთა პალატა, საგრაფოების ადგილობრივი საბჭოები), აშშ-ში (სენატი, წარმომადგენელთა პალატის დეპუტატთა უმრავლესობა), კანადაში (თემთა პალატა, პროვინციების პარლამენტები), თურქეთში (ეროვნული კრება), ავსტრალიაში (წარმომადგენელთა პალატა) და ა. შ.

ამ საარჩევნო სისტემას მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები აქვს, იგი ნაკლებად დემოკრატიულია (იკარგება დამარცხებული კანდიდატისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული ხმები, რაც არც თუ იშვიათად ძალზე დიდ პროცენტს შეადგენს) და ზშირად არაეფექტიანია (უმეტესწილად საჭირო ხდება არჩევნების მეორე და მესამე ტურების გამართვა). 1983 წელს ინგლისში, საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელიც მაჟორიტარული სისტემით ჩატარდა, კონსერვატულმა პარტიამ ხმების 42,4 პროცენტი დააგროვა, თემთა პალატაში კი ადგილების 61 პროცენტი მიიღო. მაშინ როდესაც ლიბერალურ და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ალიანსმა ხმების 25,4 პროცენტი მოაგროვა, პარლამენტში კი ადგილების მხოლოდ 4 პროცენტი მიიღო. შედარებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის გამოყენებისას თეორიულად ისიც კია შესაძლებელი, რომ პარტიამ ამომრჩევლების ხმათა უმრავლესობა მოიპოვოს და ამასთან, არც ერთი ადგილი არ მიიღოს პარლამენტში.

მაჟორიტარული სისტემის უფრო დემოკრატიული საარჩევნო სისტემით შეცვლის ტენდენცია ევროპაში უკვე XIX საუკუნიდან შეინიშნება. ამჟამად ევროპის დემოკრატიული ქვეყნების დიდ ნაწილში პროპორციული საარჩევნო სისტემა მოქმედებს. ასეთი ქვეყნებია: ბელგია (წარმომადგენელთა პალატა, სენატი), დანია (ფოლკეტინგი, ადგილობრივი საბჭოები), შვეიცარია (პარლამენტის ორივე პალატა), ჰოლანდია (პარლამენტის ორივე პალატა), ფინეთი (პარლამენტი), შვეიცარია (ეროვნული საბჭო), ლუქსემბურგი (დეპუტატთა პალატა), ისრაელი (ქნესეთი) და ა. შ.

პროპორციული საარჩევნო სისტემის ძირითადი იდეა ძალზე მარტივია — მანდატები თითოეულ საარჩევნო ოლქში პარტიებს შორის ნაწილდება მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.

არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებისას, ჩვეულებრივ, დიდი საარჩევნო ოლქები იქმნება. რაც უფრო დიდია საარჩევნო ოლქი, მით უფრო ეფექტიანად ვლინდება პროპორციული სისტემის დადებითი მხარეები. იდეალურია მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის მთელი ტერიტორია ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს (რიგი მიზეზების გამო ეს, ჩვეულებრივ, ვერ ხერხდება, გამონაკლისია ისრაელი). პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები, უპირველეს ყოვლისა, პარტიული არჩევნებია: ამომრჩეველი ხმას აძლევს

## მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური სისტემები

# 2. საარჩევნო სისტემა

პარტიას და შესაბამისად პარტიის მიერ წარმოდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა სიას. მას შემდეგ, რაც ამომრჩევლები თავიანთ ნებას გამოხატავენ და ხმები დაითვლება, განსაზღვრება საარჩევნო ქვოტა, ანუ ხმების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია დეპუტატის ასარჩევად. ქვოტის დადგენის უმარტივესი წესი მოცემულია ინგლისელი მეცნიერის თომას ჰერის 1959 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „წარმომადგენელთა არჩევა პარლამენტში და მუნიციპალიტეტში“. ამ წესის მიხედვით ქვოტა განისაზღვრება მიცემული ხმების საერთო რაოდენობის გაყოფით მანდატების არსებულ რაოდენობაზე; პარტიებს შორის მანდატები ნაწილდება მათ მხარდასაჭერად მიცემული ხმების გაყოფით ქვოტაზე. თ. ჰერის სისტემის ნაკლი ის არის, რომ იგი ყველა მანდატის ერთდროული განაწილების საშუალებას არ იძლევა. ამიტომ უფრო ზშირად იყენებენ ქვოტის განსაზღვრის მეთოდს, რომელიც გენტის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბელგიელმა ვიქტორ დ'ონტდმა შეიმუშავა („უდიდესი საშუალოს წესი“). ამ მეთოდის შესაბამისად, თითოეული პარტიული სიისათვის მიცემული ხმები თანმიმდევრულად იყოფა რიცხვთა რიგზე, მიღებული რიცხვები ლაგდება კლებადობის მიხედვით; ის რიცხვი, რომლის რიგითი ადგილი შეესაბამება ოლქიდან ასარჩევ კანდიდატთა რაოდენობას (მანდატების რიცხვს), წარმოადგენს ქვოტას.

პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას, გარდა იმისა, რომ შესაძლებელი მაქსიმალური სიზუსტით უნდა განისაზღვროს შეფარდება პარტიის მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებულ ხმებსა და მის რეალურ გავლენას შორის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აუცილებელია ამომრჩეველს მიეცეს შესაძლებლობა, თავისი ნება გამოხატოს კანდიდატის პიროვნული ღირსებების გათვალისწინებით, რაც პროპორციული სისტემის მოქმედების დროს ზშირად ძალზე გაძნელებულია. ჩვეულებრივ, თითოეული პარტია საარჩევნო ოლქში წარადგენს იმდენ კანდიდატს, რამდენ მანდატიანიც არის ოლქი. ამასთან, პარტია თავად განსაზღვრავს საარჩევნო ბიულეტენში წარმოდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა თანმიმდევრობას. კენჭისყრის დასრულების შემდგომ, თუ პარტიის მხარდასაჭერად მიცემული ხმები ერთ ქვოტას შეადგენენ, არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში პირველ ადგილზე იდგა, თუ ორ ქვოტას, პირველი ორი და ა. შ. ამდენად, ამომრჩეველი მოკლებულია საშუალებას, თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ პერსონალურად გამოხატოს (ასეთ საარჩევნო წესს „შეკრული სიების წესს“ უწოდებენ). მაგ. იგი შეიძლება უპირატესობას აძლევდეს კანდიდატს, რომელიც ბიულეტენში ბოლო ადგილზეა წარმოდგენილი და რომლის არჩევის შანსები თითქმის ნულის ტოლია, მაგრამ ამ მიმართებით მას ამ აფრის შეცვლა არ შეუძლია.

იმ ქვეყნების უმეტესობაში, სადაც პროპორციული სისტემა მოქმედებს, „თავისუფალი სიების“ სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ამომრჩეველს, არჩევანი მოახდინოს პარტიული სიის შიგნით, ანუ გამოხატოს თავადი პრეფერენცია კანდიდატის გვარის გასწვრივ ციფრობრივი აღნიშვნის, ან რაიმე სხვა საშუალებით. ამ წესის მიხედვით არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ პრეფერენციას მოაგროვებს.

პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარებისას ხშირია პარტიათა ბლოკირების, ანუ პარტიული სიების გაერთიანების შემთხვევები. ასეთ დროს ბლოკირებული პარტიების გაერთიანებული სია განიხილება როგორც ერთიანი და მიღებული მანდატები ნაწილდება ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა შორის.

პროპორციული სისტემის სახესხვაობაა „ერთადერთი გადასაცემი ხმის უფლება“, რომელიც ინგლისელმა ჰერმა და დანიელმა ანდრემ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, 1855-57 წწ-ში შეიმუშავეს. ეს სისტემა თითქმის მთლიანად გამორიცხავს ამომრჩეველთა ხმის დაკარგვას და მაქსიმალურად დემოკრატიულია. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამომრჩეველი თავის ხმას ნებაყოფლობით გადასცემს მისთვის სასურველ იმ კანდიდატს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში არჩევის მეტი შანსი აქვს.

პროპორციული სისტემის ნაკლოვან მხარედ ითვლება ის, რომ იგი პარტიათა რიცხვის ხელოვნურ ზრდას უწყობს ხელს და შესაბამისად ართულებს მთავრობების ფორმირებას. სწორედ ამით აიხსნება ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში სპეციალური პუნქტის არსებობა, რომლის თანახმადაც მანდატების განაწილებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის პარტიები, რომლებმაც ხმათა წინასწარ განსაზღვრული პროცენტული რაოდენობა მიიღეს (მაგ. გფრ-ში — 5 პროცენტი, ისრაელში — 1 პროცენტი). მაგრამ თუ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური სიტუაციის გახვითარებას გავადევნებთ თვალს, აღმოჩნდება, რომ არც ერთ მათგანში პროპორციული სისტემის შემოღებას მსგავსი ნეგატიური მოვლენები არ გამოუწვევია. ამგვარ საარჩევნო სისტემას დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იყენებენ ევროპის, თუ შეიძლება ითქვას, ყველაზე „მყარი“ დემოკრატიები: შვეიცარია, ხკანდინავიის ქვეყნები, ავსტრია. ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მართლაც არსებულ პოლიტიკურ არამდგრადობას და პარტიათა ზედმეტად დიდ რაოდენობას, ალბათ, ვერ ავხსნით ამ ქვეყნებში პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის შემოღებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს სისტემა უბრალოდ რეალურად ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნები სწორედ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარდა.

შესაძლებელია არჩევნები ჩატარდეს პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების ერთობლივი გამოყენებით, ანუ შერეული სისტემით. მაგ., გფრ-ის ბუნდესტაგის ნახევარი აირჩევა ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე, ხოლო მეორე ნახევარი — პროპორციული სისტემით. მსგავსი ვითარებაა ავსტრალიაშიც, სადაც წარმომადგენლობითი პალატა აირჩევა აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით, ხოლო სენატი — პროპორციული სისტემით.

მსოფლიო განვითარების ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დიდ და განმსაზღვრელ როლს თამაშობს სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრებაში პოლიტიკური სისტემები. ალბათ, საჭიროა უკვე დღეს ჩავუყაროთ საფუძველი ისეთ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ხალხის ნებისა და ინტერესების ადექვატურად გამომხატველნი იქნებიან. მაგრამ, ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი, კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯონ სტიუარტ მილი, რომ „თვით ყველაზე სუფთაფთა პოლიტიკური დაწესებულებანი შეიძლება უსარგებლონი აღმოჩნდნენ, თუ მოქალაქეები არ მოისურვებენ, ანდა ვერ შეძლებენ შეასრულონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი“.

**ვასილ გოცირიძე,**
**ვასილ ლაბიაშვილი.**

**გასწორება:** **„ბაქართველოს“ წინა ნომერში ამავე რუბრიკით გამოქვეყნებული წერილის სათაური უნდა იყოს: 1. მრავალპარტიული ხიხტემა.**

# „სადიდებლად სრულიად საქართველოსი“

## ღია წერილი მწერალთა კავშირის მდივანს ხუტა ბერულავას

**სათაური** თქვენთვის ნაცნობია, თქვენი ინტერვიუდანაა აღებული, გაზეთ „კომუნისტში“ რომ გამოქვეყნდა ა. წ. 8 აგვისტოს.

მე უკვე გამოვეხმაურე ამ ინტერვიუს მცირე შენიშვნებით. ალბათ უკვე გეუწყათ, მაინც აღვნიშნავ: გაზეთი „გამარჯვება“ ა. წ. 15 აგვისტო, გაზეთი „კომუნისტი“ 16 აგვისტო.

ეს შენიშვნები უეცარ გულმოსულობას მოჰყვა, ახლა მინდა გულმშვიდად მოგესაუბროთ.

დავიწყებ იმით, რომ თქვენს ინტერვიუს მხოლოდ გარეგნულად მისცემია ფორმა ინტერვიუსი, თორემ ისე, სინამდვილეში, ერთი კაცის დაწერილსა ჰგავს კითხვებიცა და პასუხებიცა. თქვენ შეგიძლიათ უარჰყოთ. მაგრამ სკრუპულოზური სტილისტური და კომპოზიციური ანალიზი უსათუოდ ამ დასკვნამდის მიგვიყვანს.

შემდეგ:

სტილი თქვენი ინტერვიუსი მეტად პათეთიკურია, ამაღლებულია, რაც არ შეეფერება არც ამ ჩვენი უბედური ქვეყნის დღევანდელ ყოფასა და არც მწერალთა კავშირის საერთო ვითარებას. მთლიანად წერილი თუ ინტერვიუ, ცალკეული აბზაცი ამ ინტერვიუსი, მხოლოდ ირონიულ შენიშვნებს იწვევს, პირველ ყოვლისა თავისი პათეთიკითა, მაგრამ ვეცდები გელაპარაკოთ პათეთიკის გარეშე, დრამატიზირებულ კილოსაც მოვერიდები. მხოლოდ ობიექტური, რეალისტური თვალით შეეხედოთ თუ რა დაგიხავთ „სადიდებლად სრულიად საქართველოსი“.

თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს, — ე. ი. სადიდებელი სრულიად საქართველოსი, — იქნება მწერალთა კავშირის ახალი განყოფილებები თელავსა და ზუგდიდში, ახლავე, მალე რუსთავსა და ოზურგეთში, მერე სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიც. მაგრამ ამ „მერეს“ დავანებოთ თავი, მსჯელობისათვის ისიცა კმარა, რაც უკვე გადაგიწყვეტიათ და რაზეც თურმე „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ოცნებობს“: თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და რუსთავის განყოფილებები თავიანთი ალმანახებითა. აქვე შემოდის გორის უკვე არსებული განყოფილება და ალმანახი „ლიახვი“. არაპერიოდული გამოცემა, როგორც თქვენვე შენიშნავთ, ახლა რომ გნებავთ პერიოდულად გადააკეთოთ.

მსჯელობისათვის ესეცა კმარა-მეთქი, ოღონდ ვიდრე მსჯელობას შეუდგებოდეთ, მინდა დაბეჯითებით ჩაგეკითხოთ: ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ეს გამოდგება „სადიდებლად სრულიად საქართველოსი“?..

ნება თქვენია!..

მე მაინც მინდა მოგახსენოთ, აქვე, პირდაპირა და პირუთვნელად მოგახსენოთ, რომ ეს სხვა არაფერს არ ნიშნავს თუ არა იმას, რომ მწერალთა კავშირმა გაიმრავლოს თავისი სატელიტები, გაბეროს შტატები და დააწოლოს ისედაც გამოფხეკილ სალაროებს ანთუ რესპუბლიკასა, ანთუ რაიონებისა, სხვას არაფერს არა ნიშნავს, რადგან ამ ამვარ განყოფილებებს, ხელოვნურად შექმნილ განყოფილებებს, ბეწვისოდენა საოგებლობის მოტანა არ შეუძლიან არც სრულიად საქართველოსათვის, არც იმ ქალაქებისა და რაიონებისათვის, სადაც რომ ჰქმნით თუ უნდა შეჰქმნათ. ვიყვეთ პირდაპირნი, ვიყვეთ პირუთვნელნი, ნუთუ აღარა კმარა ზერელე აღტაცება და მოჩვენებითი ხმაური?..

ეს ცოტა აწეული შეძახილი უნდა იყოს. ვეცდები მოვერიდო.

როდესაც გორში სალიტერატურო გაერთიანება ყალიბდებოდა და შემდეგ ამის საფუძველზე მწერალთა კავშირის განყოფილება იქმნებოდა, სულ სხვა დრო გახლდათ, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ და დაწვრილებით აღარ განგიმარტავთ. იმის თქმა მაინც არ იქნება ზედმეტი, რომ მაშინ ჯერ კიდევ თავისუფალი თავშეყრანი დაუშვებლად ითვლებოდა, დანაშაულად ითვლებოდა, და ყოველნაირად იდევნებოდა, ყოველნაირად. აუცილებელი იყო, როგორმე ოფიციალური სახე მისცემოდა თავისუფალ თავშეყრასა, თავისუფალ საუბრებსა და სალიტერატურო გაერთიანება, ხოლო შემდგომ განყოფილება ამის საშუალებას იძლეოდა. ახლა ეს ნებადართულია, თვით პოლიტიკური გაერთიანებებიცაა ნებადართული. თუმცა არაფორმალებს უწოდებენ, მაგრამ მაინც აშკარაა და აღარ იდევნება. მითუმეტეს ხელი არ შეეშლება საშწერლო თუ სალიტერატურო გაერთიანებებსა, თავისუფალ გაერთიანებებსა, თუ სჭირდებათ და სადაცა სჭირდებათ, სადაც ამისთვის შესაფერი ნიადაგი არსებობს. ის იქ თვითონ უნდა წარმოიშვას, თვითონ უნდა აღმოცენდეს ყოველგვარი ემისრებისა, მისიონერებისა და მისიონების გარეშე. არც არავის არ უნდა ექვემდებარებოდეს, არც არავის განკარგულებებს არ უნდა ელოდეს. დადგა ეს დრო, გაჩნდა ეს საშუალება და არ შეიძლება უარყოფა ამ საშუალებისა. და ისიცაა: მწერლობა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ზემდგომობისაგან, მწერალი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი შეზღუდვისაგან. ესაა მისი პირველადი, აუცილებელი, გარდაუვალი მოთხოვნილება. განყოფილებები და თანაც ასეთი ხელოვნური განყოფილებები, თბილისიდან რომ უნდა წარგზავნოთ იქ საცხოვრებლად უკვე სახელმოხვეჭილი მწერლები, მხოლოდ შემზღუდავი ორგანოები იქნებიან დღევანდელ პირობებში. თვით მწერალთა კავშირიც იმიტომ ჩამოყალიბდა თავის დროზე, რომ ჩაეხშო ჭეშმარიტი ლიტერატურულ-მხატვრული აღმავლობა და გაემრავლებინა მეხოტბენი ვითომ ახალი, ვითომ პროგრესული, ვითომ ამაღლებული საზოგადოებისა, ვითომ სწორუპოვარი პოლიტიკური სისტემისა, ვითომ რაზეც ოცნებობდნენ უდიდესი ადამიანები კაცობრიობის ისტორიაში.

მხოლოდ ამისთვის შეიქმნა მწერალთა კავშირი, მხოლოდ ამ როლს ასრულებდა მთელი თავის არსებობის მანძილზე, წარმატებითაც ასრულებდა, და ინერციით დღესაც განაგრძობს ამასვე. ან უნდა, რომ განაგრძოს, რადგანაც სახელმწიფო დაწესებულება გახლავთ, სახელმწიფო ბიუჯეტითა არსებობს და სახელმწიფო დაკვეთას უნდა ასრულებდეს.

ცოტა ავჩქარდი. უფრო მშვიდად განვაგრძობ.

გორის განყოფილებაზე მოგახსენებდით.

გორის განყოფილება ადგილზევე ჩამოყალიბდა, გორშივე აღიზარდნენ ის მწერლები, რომლებიც შემდგომ განყოფილებაში გაერთიანდნენ. გორში აღიზარდნენ, ალმანახ „ლიახვის“ ფურცლებზე აღიზარდნენ, იმ ალმანახისა, რომელსაც თქვენ სამართლიანად არაპერიოდულს უწოდებთ. არაპერიოდული იყო იმიტომაც, გამოცემა რომ ძნელდებოდა და იმიტომაც, დაბეჭდვისათვის შესაფერისი მასალა ადვილად არ გროვდებოდა, „ლიახვი“ სხვაგანაც ეძიებდა მასალებს, თბილისშიც ეძიებდა, კარგი იქნება თუ ამასაც გაითვალისწინებთ, როცა პერიოდული ალმანახების გამრავლება მოგიხდომებიათ. მისასალმებელია რაღა თქმა უნდა. ოღონდ შესაძლებლობაც უნდა ახლდეს. მაგრამ აქ მაინც იმისი თქმა მინდა, „ლიახვი“ რომ არა პერიოდულიც გახლავთ და თვითნებურიცა ჩვენს პირობებში, მითუმეტეს როცა ის დაარსდა — 50-იან წლებში. არ არსებობს არავითარი დადგენილება მისი დაარსების შესახებ, არ არსებობს არავითარი ბრძანება მისი რედაქტორის დანიშვნის შესახებ, ახლა რომ მოხსნა გინებებიათ. ალმანახი გამოდიოდა ერთი ადამიანის ნებისყოფითა, დროდადრო მხარში რომ ამოუდგებოდნენ თანამგრძნობელნი, სხვადასხვა დროს სხვადასხვანი, ვისაც საამისო დახმარება შეეძლო, გამოცემის თვალსაზრისითა რაღა თქმა უნდა.

თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ. ერთი ნომერი თქვენი დახმარებითაც გამოვიდა, როცა გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი ბრძანდებოდით. გვახსოვს. არ გეგონოთ, რომ სიკეთე ვინმეს ავიწყდებოდეს.

სიკეთეც არავის ავიწყდება.

თქვენ ისიც კარგად მოგეხსენებათ, „ლიახვის“ რედაქტორი რომ არავის დაუნიშნავს და არც მისი განთავისუფლებისა თუ მოხსნისათვის არავის არ უნდა შეეწუხებინა თავი, მაგრამ მორალურმა პასუხისმგებლობამ გაიძულათ, ერთი-ორი ქათინაურით მოგეშორებინათ თავიდან და პათეთიკურად განგეცხადებინათ: ამიერიდანო „ალმანახ „ლიახვს“ სათავეში ჩაუდგება ცნობილი მწერალი..... ამიერიდან დედაქართლის ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე და მესვეური ხდება ეს შესანიშნავი პროზაიკოსი, სცენარისტი და პუბლიცისტი“.

ეს თქვენი ინტერვიუდანაა. მე მხოლოდ სახელი და გვარი გამოვტოვე თქვენი მისიონერისა, ანუ მესვეურისა ამიერიდან, როგორც თქვენა ბრძანებთ: დედაქართლის ლიტერატურული ცხოვრების მესვეურისა ამიერიდან. გამოვტოვე...

მე იმასთან საქმე არა მაქვს.

მე თქვენ პათეტიკურ განცხადებასთანა მაქვს საქმე...

რას ნიშნავს დედაქართლის ლიტერატურული ცხოვრების მესვეური?..

ანთუ რას ნიშნავს ამიერიდან მესვეური ხდება?..

თუ დააკვირდებით, ეს ირონიაა, ოღონდ ჩემი არა, თქვენი ირონიაა; მე დაგბირდით, რომ ირონიას მოვერიდები-მეთქი. მაგრამ თუ წავაწყდები, რომ არ აღვნიშნო, არც ის ივარგებს. ირონიაა. გარეგნულად ის პათეთიკაა რაღა თქმა უნდა, ოღონდ პათეთიკასა და ირონიას შორის ბეწვისოდენა მანძილიც აღარა რჩება ბევრშემთხვევაში. ეს იმ ბევრშემთხვევათაგანია. როგორ გინდათ მესვეურად აქციოთ კაცი, რომელიც ისე შედის სიბერეში, ჩხირიც რომ არ გადაუბრუნებია საზოგადოებრივ სარბიელზე? ვის უნდა მისი მესვეურობა, ან მისი დახმარება ვის უნდა?!. თუმცა მე იმასთან საქმე არა მაქვს მეთქი. მაგრამ აქ სიბერეც ვახსენე. ეს განგებ ვახსენე, რადგან თქვენ ხმა დაგიყრიათ მწერალთა კავშირში, წინასწარ, ინტერვიუმდე, „ლიახვის“ აქამომდელი რედაქტორი დაბერდაო. ეს რა ახალგაზრდა გამოგიძებნიათ!..

თანაც მესვეური დედაქართლის ლიტერატურული ცხოვრებისა ამიერიდან!.. მაინც რა იგულისხმება ამ „დედაქართლში“: სრულიად საქართველო სწორედ ეს არის თუ გულისხმობთ მხოლოდ შიდაქართლსა, ქვემოქართლისა და ზემოქართლის გარეშე?.. თუმცა იმას მაინც არ აცხადებთ, თუ ვინ გაგიმწესებიათ კახეთის, კუხეთის, ჰერეთისა, კამბეჩოვანისა და სხვაზთა და სხვათა ლიტერატურათა მესვეურებად; არ აცხადებთ, რადგან იქ სუფთა გზა გიდევთ, ხოლო აქ ცოტა უხერხულობა გექმნებათ, — არსებობს რედაქტორი. დიდი ხნის რედაქტორი და დამაარსებელი „ლიახვისა“, არსებობს და უნდა ჩამოიცილოთ, რადგან, როგორც სჩანს, მისი არსებობა არაფრად არ ეპიტნავება მწერალთა კავშირის ახლანდელ ხელისუფლებას.

და საკვირველი არ არის, რომ ცილისწამებაც არ ერიდებით.

ესეც თქვენი ხელმძღვანელობის პრივილეგიაა!...

არა, არც ეს შეძახილი იყო საჭირო, მაგრამ წამომცდა და უკან აღარ დავიბრუნებ.

ისიც მაგონდება: ღმერთმა ერთი ვით აცხონოს თუ მეორე არ წაწყმიდოსო. დიახ. კახეთი ვახსენე, თქვენ აქ მესვეურს სახელდებით არ გამოჰყოფთ, ეტყობა, ერთიც არაა, მეტნი არიან. აი სათანადო ადგილი თქვენი ინტერვიუდან: „არაერთმა ცნობილმა მწერალმა, რომელთა სახელებიც ამშვენებს მშობლიურ ლიტერატურას, გამოთქვა სურვილი, იცხოვროს და იმუშაოს ქალაქ თელავში — საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ კულტურულ ცენტრში. წარმოიდგინეთ, რამდენ სიკეთეს მოუტანს მშობელ ერსა და ქვეყანას სახელმწიფო ინსტიტუტის საქართველოს მწერალთა კავშირის თელავის, განყოფილების, ალმანახ „ალაზნის“ რედაქციის ერთობლივი ღონისძიებანი!“

ვიწერ ამ აბზაცს და ხელახლა ვიმოწმებ, რომ არაფერი შემცდეს. მძიმე ვერ არის თავის ადგილას, მაგრამ ეს თქვენი ბრალი არ არის, არ იფიქროთ, რომ ამაზე გედავებით, ეს კორექტურის ბრალია, მეც არ ვასწორებ, რადგან ისედაც ნათელია ყველაფერი: არაერთი ცნობილი მწერალი თბილისიდან თელავში გადადის საცხოვრებლად, რათა მონაწილეობა მიიღოს თელავის ინსტიტუტთან ერთად „ერთობლივ ღონისძიებებში“, რაც რომ არც ითქმის ისეთ სიკეთეს მოუტანს „მშობელ ერსა და ქვეყანას“. არ მინდა გავიმეორო, ამ აბზაცშიც თუ რაოდენი პათეთიკაა, როგორ ყურსა სჭრის მოძველებული სტილი სადირექტივო ორგანოების მოწოდებებისა, მაგრამ ის მაინც მინდა ვიკითხო, რა ღონისძიებები იქნება ეს ღონისძიებები, — იუბილეები?.. თქვენთან, ე. ი. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობასთან შეხვედრები, ცალცალკეცა და ერთადაცა?.. ახალი ტრადიციების დამკვიდრება?... საერთო სახალხო ზეიმები?.. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა საჭიროა ამისათვის იქ მწერლების გამწესება, ამას ჰო აქამდისაც შესანიშნავად უძღვებოდა ადგილობრივი ხელმძღვანელობა?... თუნდაც რად არა ჰღირს მარტო იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის ღონისძიებანი, თვით მწერალთა კავშირის ღონისძიებანიც რომ ვერ შეედრება ზოგ შემთხვევაში, თვით მწერალთა კავშირისა, განყოფილებასაც რომ თავი დავანებოთ!..

და ბარემ აქვე ამასაც ვიკითხავ: ნუთუ მწერლობის მოვალეობა ისაა, რომ მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ ღონისძიებებში, როგორც ორგანიზატორმა?..

არა, მე არ მიკვირს, რომ მწერალთა კავშირი ასე განსაზღვრავს მწერლის მოვალეობას, არა, ცხადია, რადგან მწერალთა კავშირი მხოლოდ ღონისძიებათა ორგანიზაციაა და თავის გარშემო დარაზმულ მწერლებს ამ თვალით შესცქერის.

ხოლო თუ რა სარგებლობას მოუტანს „მშობელ ერსა და ქვეყანას“ ეს „ერთობლივი ღონისძიებანი“, — ენკლატურული მუშაკები, — შტატებითა, — მოძველებული ფორმაა, თვით მწერალთა კავშირიც მოძველდა, მისი სტრუქტურა ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს.

აქვე მინდა ისიც გჯეროდეთ, რომ ამ ჩემი ღია წერილის მიზანი ის არ არის, თითქოს თქვენს მომავალ პერიოდულ ალმანახს ვებღაუჭებოდე, არა, ის არ არის, თუ მაინც გეეჭვებათ, აჰაა და პირდაპირ განმიცხადებია, — სამაგისო სურვილი არ გამაჩნია!.. თქვენ თუ არ გნებავთ, მე მით უფრო არა მსურს თქვენთან თანაშრომლობა, მხოლოდ ერთს მოვითხოვ: დაარქვით, რაც გნებავთ, თქვენს მიერ დაარსებულ ალმანახსა, მხლოდ „ლიახვს“ დაეხსენით. „ლიახვი“ იარსებებს ისევე, როგორც აქამდის არსებობდა. ის პირობითად შეიწერა გორის განყოფილებას. მანამდე სალიტერატურო გაერთიანებას ეწერებოდა. დაარსებისას გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით გამოდიოდა. ერთხელ კულტურისა და დასვენების პარკსაც მიეწერა, გამოცემის ხარჯები იქიდან რომ გაიღეს. ახლაც გამოსძებნის თუ ვის მიეწეროს, საშუალებასაც გამოსძებნის, რომ იარსებოს. თქვენ დაარქვით-მეთქი, რაც გენებოთ. თუ უსათუოდ მდინარის სახელი გნებავთ, და ისიც უთუოდ იმ მდინარისა, გორს რომ ჩამოუდის, — ჩამოუდის წმინდაწყალიცა, მეჯუდაცა, ტორტლაცა, — დაარქვით, რომელიც გენებოთ. ან რაც გინდათ, ის დაარქვით, ოღონდ „ლიახვს“ დაეხსენით. „ლიახვმა“ თქვენ ასოციაციები გაგიღვიძათ და გეყოფათ, მიეცით მას არსებობის საშუალება, ახლა უფრო მეტი შესაძლებლობაა, უფრო მეტისა და კარგის გაკეთება მოუხერხდება.

ვგონებ, ნათელია ჩემი პოზიცია, ვგონებ, სეეჭვო აღარაფერი აღარ უნდა იყოს.

ახლა ისევ თქვენს ინტერვიუს მივუბრუნდები.

და ისევ ვრცელ ციტატას ამოვიწერ, სრულ აბზაცს ამოვიწერ. მეტად ნათელია, მეტად გამჭვირვალეა, კომენტარებიც აღარა სჭირდება, ქვეტექსტიც იქცევა ამოხსნილი თქვენი ინტერვიუსი.

აი ის აბზაცი...

„გვწამს, რომ აღნიშნული რეგიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები მხარს დაგვიჭერენ ამ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის განხორციელებაში — შესაფერის შენობებს გამოუყოფენ მწერალთა კავშირის განყოფილებებს და ალმანახების რედაქციებს. რაც შეეხება საბინაო პირობებს, საქართველოს ლიტფონდი სათანადო თანხებს გაიღებს თელავსა და ზუგდიდში, აგრეთვე სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მწერალთათვის საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად“.

ნათელია რაღა თქმა უნდა.

მაგრამ მე მაინც ზოგ რამეს შევნიშნავ, იმისათვის რომ დაგარწმუნოთ, ჩემთვისაც რომ მართლა ნათელია.

ჯერ ერთი: აქაც ფიგურირებს „ეს მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე“, რათა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს თვალები აუბრელოს. ახლა ეს მოდაშია.

მეორე: ლიტფონდის თანხები პირობითია, ან თუნდაც რეალური გახლდეთ, თანხები არ არის აქ გადამწყვეტი, გადამწყვეტია საშენი მასალა და მუშახელი, რაც ყველგან უჭირთ, თბილისშიც უჭირთ და მით უმეტეს- თბილისს იქითა.

მესამეჯ თქვენს მიერ წარგზავნილი ემისრები იქ არ იცხოვრებენ რაღა თქმა უნდა. ახლა შესაძლოა, ფიციც დასდონ, მეც შემომწყრნენ, ცილსა გვწამებო, მაგრამ თქვენც იცით და იმათაც კარგად მოეხსენებათ, რომ იქ არ იცხოვრებენ. იმიტომ, არ გამოქცეულან იქიდანა და იმიტომ არ დაფუძნებულან თბილისში, რომ აიყარონ და უკან გადასახლდნენ. თქვენთან ერთად წამობრძანდებიან საზეიმო საღამოებზე და თქვენთან ერთად დაბრუნდებიან, ერთი ზედმეტი ღამეც რომ იქ არ გაათიონ. ასევე ყველა დარგის პენსიონერები უბრუნდებიან თავთავიანთ კუთხესა, სოფლებსაც უბრუნდებიან, მაგრამ მეურნეობისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. სახლებს აიშენებენ, გასაღებს ჯიბეში ჩაიდებენ და წელიწადში ცხრა-ათ თვეს ისევ თბილისში ატარებენ, თავთავიანთ ოჯახებში რაღა თქმა უნდა. დროის მოვლენაა. სოციალური მოვლენაა. არ განვსჯი. მხოლოდ აღვნიშნავ. ესს სახე, ეს ტიპი, ჯერ არ შემოსულა ჩვენს ლიტერატურაში. შემოვა. ვერ გადაურჩება. მწერალთა კავშირის წევრებიც თავისი დროის შვილები არიან, ჩვეულებრივი ვნებებითა და ჩვეულებრივი წამხედურობითა.

**ოთარ ჩხეიძე**

(დასასრული იქნება)

## ხუთი შეკითხვა

### საქართველოს სსრ პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს

1988 წ. 17 ნოემბერს თბილისში უცნობმა პირებმა მომიკლეს (დამიხრჩვეს) 24 წლის ვაჟიშვილი — დათო ბერაია, პროფესიით მშენებელ-ინჟინერი, მომიკლეს იმ ოროთახიან ბინაში (ვარკეთილი-3, II მ/რ. კორპუსი 32, II სადარბაზო, ბინა 37), რომლის მიღებასაც ველოდით 24 წელიწადი, მისი დაბადების დღიდან.

მკვლელობა მოხდა 17 ნოემბერს, საღამოს 17-დან 18 საათსა და 30 წუთამდე. დარეკვისთანავე მოსულან მილიციის მუშაკები, სასწრაფო დახმარების თანაშრომლები და 26 კომისრების სახ. რაიონის პროკურატურის გამომძიებელი ა. ონიკაშვილი.

18 ნოემბერს მივმართე ვარკეთილის უბნის მილიციის განყოფილებას. მესაუბრა განყოფილების უფროსი და კიდევ ერთი მათი თანამშრომელი. მათი გვარები არ ვიცი, ერთერთი მათგანი, მილიციის უფროსის თქმით, პოლკოვნიკია. ისინი მიმტკიცებდნენ, რომ მოხდა თვითმკვლელობა (ჩამოხრჩობა), მე კი, პირიქით, ვუმტკიცებდი, მკვლელობასთან გვაქვს საქმე-მეთქი. მერე დამამშვიდეს, მითხრეს, ექსპერტები ყველაფერს გაარკვევენო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

გთხოვთ, ბატონო პროკურორო, პირუთვნელი პასუხი გასცეთ ჩემს შეკითხვებზე:

1) თბილისის 26 კომისრების სახ. რაიონის პროკურორმა გამომძიებელ ა. ონიკაშვილის გამოძიებას საფუძველზე დახურა ჩემი შვილის მკვლელობის საქმე 1989 წლის 30 იანვრის დადგენილებით.

მიუძღვის თუ არა ბრალი გამომძიებელ ა. ონიკაშვილს, რომელმაც არ უზრუნველყო ფოტოგადაღება, არ გამოიძახა კრიმინალისტი და არ შეასრულა კანონით გათვალისწინებული სხვა შემოწმება?

2) მკვლელობის მეორე დღეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მუშაკებმა გადმოვცეს შვილის სიკვდილზე ცნობა 1117/1024, ფორმა №106/4-84, სადაც ხაზგასმულია სიტყვები: საბოლოო და თვითმკვლელობა ჩამოხრჩობით.

არც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მუშაკებს, არც არავის არ უნახავს ჩემი შვილი თოკზე ან სხვა რამეზე ჩამოკიდებული.

რამდენიმე დღის შემდეგ ექსპერტებმა აღიარეს რა შეცდომა, განაცხადეს, ცნობაში დაშვებულია უზუსტობა, დაგვიბრუნეთ ის ცნობა და სხვა ცნობას მოგცემთო.

თბილისის ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის თანამშრომლებს უარი უთხრეს ღვთისმსახურებმა ეკლესიაში ჩემი შვილის სახელზე პარაკლისის გადახდაზე, ცნობაში აღნიშნული სიცრუის გამო.

არიან თუ არა დამნაშავენი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მუშაკები, რომლებმაც განკვეთეს მოკლულის გვამი შშობლების დაუკითხავად და შეადგინეს უსაფუძვლო ცნობა?

3) ჩემი შვილის მკვლელობის გამო მივმართე ვრცელი განცხადებით თბილისის პროკურორს თ. ტუღუშს 1989 წლის 13 იანვარს. თქვენთან არ შემომიშვეს.

თბილისის პროკურორისაგან პასუხი მივიღე დაგვიანებით და ისიც ჩემი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ. და მაშინ, როცა გავიგე, რომ ჩემი შვილის მკვლელობის ძიების საქმეს ისევ უბრუნებდნენ 26 კომისრების სახ. რაიონის პროკურატურას, პროტესტით მივმართე თ. ტუღუშს, მაგრამ ამაოდ... პასუხში აღნიშნულია: „რაც შეეხება საკითხს, მასალების შემოწმების ქ. თბილისის 26 კომისრების სახ. რაიონის პროკურატურაზე აცილების შესახებ ასეთზე უარი გეთქვათ უსაფუძვლოების გამო. აღნიშნული მასალების შემოწმება ჩვენს მიერ აყვანილია განსაკუთრებულ კონტროლზე“. წერილს ხელს აწერს ქ. თბილისის პროკურორის პირველი მოადგილე მ. ქურდაძე.

ამ „განსაკუთრებული კონტროლის“ შემდეგ მეორე გამომძიებელმაც, 26 კომისრების სახ. რაიონის პროკურორის თანაშემწემ, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ლ. დუღაშვილმაც დახურა საქმე. ამ „განსაკუთრებული კონტროლის“ შემდეგ 1989 წლის 15 თებერვალს გამიტეხეს ის ბინა, სადაც მომიკლეს შვილი. სამართალდამცველებმა ჩემი ბინის გატეხვა ქურდებს დაბრალეს.

მე ვამტკიცებდი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბინის გატეხვა დაკავშირებულია მკვლელობის საქმესთან, რადგან ჩემი შვილი 1988 წლის მაისის თვიდან დევნიდნენ. თავდასხმელები ჩემს შვილთან ეძებდნენ რაღაც ფოტოფირებს და დისკეს. თავდასხმა, რომელიც მოუწყვეს 1988 წლის 13 ივნისს, დადასტურებულია მოწმეების ჩვენებებით და სხვა სარწმუნო საბუთებით.

ბინის გატეხვის დროს არაფერი არ წაუღიათ, რა იყო ბინაში მოსაპარი წიგნების გარდა, რაც მათ არ სჭირდებიათ.

ბოროტმოქმედებმა კარადის შიგნით კედლიდან მოგლიჯეს 15 სმ. სიგრძის ჭანჭიკებით ხისტად დამაგრებული რკინის კუთი. ისინი კუთის უკან ვარაუდობდნენ სამალავს. ამ „განსაკუთრებული კონტროლის“ შემდეგ ჩემი შვილის მკვლელობის საქმის ძიება დაევალა იმავე რაიონის მესამე გამომძიებელს გ. ლობჟანიძეს. რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე წერილი საქართველოს პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილის ვ. დ. მინდიაშვილისაგან. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მკვლელობიდან 10 თვის შემდეგ.

თბილისის პროკურორის პირველმა მოადგილემ არ მიიღო ჩემი პროტესტი, როგორც იტყვიან „ცხელ კვალზე“, წერილში მწერს: „რაც შეეხება საკითხს მასალების შემოწმების ქ. თბილისის 26 კომისრების რაიონის პროკურატურაზე აცილების შესახებ ასეთზე გეთქვათ უარი უსაფუძვლობის გამო“.

იყო თუ არა ჩემი პროტესტი საფუძვლიანი?

4) სისხლის სამართლის საქმე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღიძრა 10 თვის შემდეგ, მაგრამ მიუყენეს ისეთი მუხლი, როგორიც ხელს აძლევდათ. კვლავაც თვითმკვლელობას აბრალებენ ჩემს შვილს. მე მოვითხოვდი და მოვითხოვ მკვლელობის ფაქტის აღიარებას და სამართლიან გამოძიებას.

ამჯერად საქმეს იძიებს იმავე რაიონის მეოთხე გამომძიებელი მ. მიქაძე. შეუძლია თუ არა სრულიად ახალგაზრდა, 1989 წელს კურსდამთავრებულ იურისტს, ამ საქმის სრულყოფილად ძიება?.. და თუ შეუძლია, მაშინ რატომ ვერ შესძლო ეს დიდი გამოცდილების მქონე გამომძიებელმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა, პროკურორის თანაშემწემ ლ. დუღაშვილმა?

5) რას ნიშნავს პროკურატურებიდან მიღებულ წერილებში აღნიშნული „განსაკუთრებულ კონტროლზე“ აყვანა?

**იოსეგ ბერაია**

●

თქვენი გაზეთის ფურცლებზე მიმდინარე წლის პირველ ნომერში (19. I. 1990) დაიბეჭდა ირაკლი ლომოურის პუბლიკაცია სათაურით „ილუზიების სამყაროში?!“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ 1990 წლის 5 იანვრის ნომერში მოთავსებული ჩემი წერილი. ბატონი ირაკლი მთხოვდა, გამოვხმაურებოდი მას.

# წერილები რედაქციას

მოგახსენებთ, რომ მე ვცხოვრობ სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში. გახლავართ 19 წლის. თავს მოვალედ ვთვლი გაგარკვიოთ სიტუაციაში.

„კომსომოლსკაია პრავდას“ 1989 წლის 7 სექტემბრის ნომერში წავიკითხე მთელი რიგი პუბლიკაციები საერთო სათაურით „როგორ ვიცხოვროთ?“. გადავწყვიტე გამოვხმაურებოდი, დავწერე წერილი, რომელიც გაზეთმა არ დაბეჭდა. წერილში განვიხილავდი საკითხს, თუ რისთვის არსებობს ადამიანი და რას უნდა ემსახურებოდეს იგი. აღვნიშნავდი, რომ ყოველი ადამიანის მიზანს კეთილი, ჰუმანური იდეალებისაკენ სწრაფვა და ეშმარიტების ძიება უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ძალიან ძნელია შეინარჩუნო ჰუმანური და მოწყალე ადამიანის სახე, როდესაც შენს გარშემო სიცრუე და ბოროტება სიმართლესა და სიკეთეს სჯობობს. თითქოსდა დავლიეთ უსამართლობა და სიცრუე, მაგრამ ისინი კვლავაც ჩვენი ცხოვრების საფუძველს შეადგენენ. რატომ არის, რომ დღევანდელი ყველა „ავადმყოფობის“ მიზეზს 30-იან წლებში ვეძებთ და არა 20-იან წლებში? თუ ვაკრიტიკებთ სტალინიზმს, ზოგიერთ შემთხვევაში რატომღა მივმართავთ მის მეთოდებს? რატომ ვამხელთ მხოლოდ სტალინის დროის რეპრესიებს, 20-იანი წლების სასტიკი რეპრესიების ფაქტებს კი გვერდს ვუვლით? რატომ გვარწმუნებთ, რომ სოციალიზმს ჰუმანურ იერს ვაძლევთ, ვაგებთ მას ლენინის პრინციპებზე? ლენინი ხომ ტოტალიტარული ტიპის პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ. ტოტალიტარიზმისა და ეშმარიტი დემოკრატიის თანაარსებობა კი შეუძლებელია...

ასეთია ჩემი პირველი წერილის დედააზრი.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გაზეთში დაიბეჭდა გამოხმაურებები. თითქმის არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ჩემი წერილი არ იქნებოდა გამოქვეყნებული, რადგან „კომსომოლსკაია პრავდას“ ფურცლებზე არ იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც კრიტიკა ნაწილობრივ მაინც შეეხებოდა მოქმედი საკავშირო მთავრობის პოლიტიკას. როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთში დაიბეჭდა თითქმის ერთნაირი შინაარსის წერილები, რომლებშიც ეღერდა წარსულის „მიწასთან გასწორება“ და დღევანდელობის მისალმება. გამოქვეყნებულ წერილებში არ ჩანდა არავითარი აზრთა პლურალიზმი, დისკუსიას არ ჰქონდა მიცემული დემოკრატიული სახე... ამიტომაც გადავწყვიტე, დამეწერა მეორე წერილი, სადაც გამოვხატე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება გაზეთის რედაქციის მიმართ. წერილი საკმაოდ ვრცელი იყო. 5 იანვრის ნომერში მისი ცალკეული ფრაგმენტებია დაბეჭდილი, რაც იწვევს გაუგებრობას. პუბლიკაციიდან არ ჩანს, თუ რამ განაპირობა წერილის დაწერა, გაურკვეველია, ვისი მისამართით და რა მიზნითაა გამოთქმული ესა თუ ის მოსაზრება...

სინამდვილეში კი, წერილში ასეთი აზრი ჩავაქსოვე: „ყოველგვარი დემოკრატია, საჯაროობა და პოლიტიკური პლურალიზმი საბჭოთა კავშირში — სიყალბეა. მოჩვენებითმა დემოკრატიამ უფრო გაამწვავა არსებული პრობლემები... უკვე გადაგვარებული სოციალიზმი საბოლოოდ ნადგურდება და ამ პროცესის ფონზე კიდევ უფრო ეცემა კომუნისტური მთავრობის ისედაც უზომოდ შელახული ავტორიტეტი, რადგანაც იგი სიყალბითა და ვაიდემოკრატიით „კვებავს“ საზოგადოებას“.

აი, რისი თქმა მსურდა ჩემი წერილით.

გაცნობებთ, რომ „კომსომოლსკაია პრავდა“ რედაქციას გავუგზავნე პროტესტი.

**ნინო ბასილაშვილი**

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს
### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

მუშათა და მოსამსახურეთა უზრუნველყოფა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით მშრომელების განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას ნათლად განმარტავს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 230 და 231 მუხლები (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი, თბილისი, 1989 წ., გვ. 141). ამ მუხლებიდან ნათლად ჩანს, რომ სახსრებს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გასაცემად სრული მოცულობით იძლევა სახელმწიფო. ამიტომ სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდებით პროფკავშირის მიერ უკანონოდ მითვისებული უფლება, განკარგოს ეს სახსრები, მიგვაჩნია **არასამართლიანად!**

**არასამართლიანია** აგრეთვე არაპროფკავშირების წევრებზე დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაცემის წესი. კერძოდ, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1984 წლის 12 ნოემბერს დამტკიცებული დებულებით „... მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც არ არიან პროფკავშირის წევრები, დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო ეძლევათ ხელფასის 50 % ოდენობით (პუნქტი 30)“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს დებულება ემყარება საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1931 წელს მიღებულ დადგენილებას „სოციალური დაზღვევის შესახებ“. ცხადია, ეს დებულება ეწინააღმდეგება შრომის კანონთა კოდექსის ზემოთ მოყვანილ მუხლებს, რომელთა თანახმადაც სახსრები აღნიშნული სახის დახმარებისათვის ჩაირიცხება სახელმწიფოს მიერ სოციალური დაზღვევის ფონდში სრული მოცულობითი ხელფასის ფონდის შესაბამისად. ამიტომ აღნიშნული დებულება დისკრიმინაციულია და ხელყოფს მშრომელთა უფლებებს.

ამგვარად, პროფკავშირების მიერ მითვისებული უფლება, მართონ სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, დაუნიშნონ მუშებსა და მოსამსახურეებს დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო და სხვა სახის დახმარებები სოციალური დაზღვევის სახით, მიგვაჩნია უკანონოდ! ეს ფუნქციები პროფკავშირებს იმიტომ აქვთ მინიჭებული, რომ მასში ადამიანები იძულებით გააერთიანონ.

აქედან გამომდინარე მოვითხოვთ:

1. დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო მთლიანად ხელფასის ოდენობიდან გაანგარიშებით მიეცეს ყველა მშრომელს განურჩევლად იმისა, არის თუ არა იგი ნებისმიერი პროფესიული კავშირის წევრი.
2. დაუყოვნებლივ ჩამოერთვას საქართველოს პროფკავშირს უფლება, მართოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევა.
3. შეიქმნას საქართველოს სოციალური დაზღვევის დამოუკიდებელი სისტემა.

**საქართველოს მეტალურგთა თავისუფალი კავშირის გამგეობა**

●

### ცხინვალის რაიონის სოფელ ბელოთის სატკივარი

სოფელში გლეხს უჭირს. ცხოვრება: არ არის დასაქმების საშუალება, საკუთარი საქონლის გამოკვებაც კი უჭირთ, რადგან საძოვრები დაიმეწყრა, ცხვარი მთაში გაუშვეს და ბალახი არ ითიბება.

სოფლის მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთებს არ აძლევენ, იმ დროს, როცა მეზობელი სოფლიდან და ცხინვალიდან მოსულებს გულუხვად უნაწილებენ სოფლის კუთვნილ მიწებს.

სოფლის რვაწლიანი სკოლა დახურვის პირზეა.

სამედიცინო მომსახურება დაბალ დონეზეა: სოფელს ჰყავს ერთი ექთანი და არ არის ტელეფონი, რომ გაჭირვების შემთხვევაში გამოიძახონ ექიმი. გამოძახებაზე კი ვინ მოვა და რიდის, ესეც საკითხავია.

სოფლის მოსახლეობის იურიდიული განათლება ნულოვან დონეზეა; მათ არ იციან რისი უფლება აქვთ, რა ეკუთვნით, როგორ იმოქმედონ ამა თუ იმ სიტუაციაში.

შარშან სოფლის მორწმუნეებმა ითხოვეს ბელოთის მაცხოვრის ეკლესიის (X საუკ.) შეკეთება და ამოქმედება, მაგრამ ის განცხადებები უპასუხოდ დარჩა.

მისახედია ბელოთის ციხე. მისი ერთი კედელი მთლად ჩაიქცა. თუ სასწრაფოდ არ მივხედეთ მალე მთლად დაირღვევა. მისახედია საერთოდ მთელი პატარა ლიახვის ხეობის ხუროთმოძღვრების ძეგლები.

სოფელი ხადურიანთუბანი დაცარიელდა და სანიშნო კოშკიც იქცევა, იმის გამო, რომ ერთი პატარა ხიდის გადება ვერ მოხერხდა მდინარეზე. ახლა, კი როცა სოფელი დაიცალა და უკანასკნელი სახლი ჩაიქცა, სოფლის მიწები სხვა მხრიდან მოსულ ხალხს საგარაკო ნაკვეთებად დაუნაწილეს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებაზე კი არავინ ფიქრობს.

სოფლის კულტურული ცხოვრება [illegible] მთლად მიმვეებულია: სოფლის საბჭოს, ბიბლიოთეკაც, მედპუნქტიცა და კლუბიც. და იგი მდებარეობს სოფლიდან მომორებით ლიახვის გაღმა და ძველი ხიდი აკავშირებს სოფელს.

არავითარი კულტურული ცხოვრება სოფელში არ მიმდინარეობს. საბჭოს შენობა მოვალეობის მოხდის მიზნით დგას. ახალგაზრდობა მოდის სოფლიდან.

სოფლის ხელმძღვანელობა არაფერს აკეთებს სოფლისათვის.

**ხელს აწერს 86 კაცი**

●

### დროა დავარისხოთ ზარები

დღეს თავზარდაცემულია სრულიად საქართველო იმ არაადამიანურობით გამოჩეული მკვლელობით, სამწუხაროდ, ჩვენს ირგვლივ რომ ხდება. მრავლისმნახველ ხნიერ ხალხსაც კი უჭირს იმის წარმოდგენა, თუ რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავზე დატეხილი.

1989 წლის 7 ოქტომბერს ქ. თბილისში, მთაწმინდის №2-ში მცხოვრები ლაშა ნიკვაშვილი თავის თანაკლასელთან დავით პაკელიანთან წაკინკლავდა. ორმხრივი უთანხმოების შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ. გრძნობდა რა თავს შეურაცხყოფილად, დავით პაკელიანს მოსვენება დაეკარგა. 10 ოქტომბერს ანგარიშის გასწორების მიზნით დავით პაკელიანი გადაჭრილი ორლულიანი თოფით შეგობრისგან მომავალ ლაშა ნიკვაშვილს წინ გადაუდგა და იმის შიშით, რომ მილიციას არ შეემჩნია შეიარაღებული „შურისმაძიებელი“, ჯავრის ამოყრა იქვე მდებარე ტყეში გადაწყვიტა და გაიხმო კიდეც იქ ლაშა ნიკვაშვილი. შეატყო რა ლაშა ნიკვაშვილს, რომ მისი ორლულიანი თოფის არ შეშინებია, გაბოროტებულმა სამიოდე ნაბიჯით უკან დაიხია პირდაპირ სახეში ესროლა. შემდეგ კი დავარდნილი და დასისხლიანებული ბიჭი უსინდისოდ მიატოვა და რომ არა თოფის ხმაზე მოსული იქვე მომუშავე ადამიანები, ლაშა ნიკვაშვილი სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა.

ყოველი ღონე იხმარეს ექიმებმა, მაგრამ მხედველობა ვერ შეუნარჩუნეს. მძიმედ დაჭრილ ბიჭს იმდენად დაუზიანდა სახე, რომ ექიმებმა ვერც ზედა და ქვედა ტუჩების და კბილების შენარჩუნება შეძლეს.

სარეცელს მიჯაჭვული ბიჭი ოთხი თვის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს... ოთხი თვის მანძილზე დასეირნობდა და არც ედარდებოდა დავით პაკელიანს მისგან ულვთოდ განწირული ბიჭის ბედი. კალინინის რაიონის პროკურორმა გიორგი აგლაძემ დავით პაკელიანის დატოვება თავდებში იმით ახსნა, რომ ლაშა ნიკვაშვილი გამომძიებას დაკითხული არ ჰყავდა (როგორც იტყვიან ჩვენში, პატივცემულო მკითხველო, „ცინიზმი ამაზე შორს ვეღარ წავა“). მკვლელობის მცდელობაში და იარაღის უნებართვოდ ტარებაში დადანაშაულებული დავით პაკელიანისა და ლაშა ნიკვაშვილის დაპირისპირება კი მოხდა მომდინარე წლის 20 იანვარს. სასამართლომ საქმე განიხილა 1990 წლის 7 და 10 მარტს. განაჩენის გამოცხადება კი 1990 წლის 12 მარტისათვის გადაიდო.

კალინინის რაიონის სასამართლომ 1990 წლის 12 მარტის განაჩენის მოსასმენად მოსულ დავით პაკელიანს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოუტანა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დავით პაკელიანი თვალსა და ხელს შუა გააპარეს მფარველებმა სასამართლოს შენობიდან(?!) და იგი დღესაც იმალება. ამ აღმაშფოთებელი ფაქტის (სადაც აშკარაა თემიდის მსახურთა საეჭვო უყურადღებობა) ინტერპრეტაციაზე ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებთ, იგი მკითხველისათვის მიგვინდია, ოღონდ ერთს დავძენთ, საბჭოთა თემიდის სამართლიანობის მკაფიო დასტურია სამხატვრო გალერეას წინ მიმდინარე მგლოვიარე დედათა საპროტესტო მჯდომარე აქცია!

თანაკლასელის მუხანათურად გამწირავი დავით პაკელიანი ასე ვერ იპარპაშებდა და თემიდის მსახურები ასე ვერ დაიბრმავებდნენ დღისით, მზისით თვალებს, ვიღაცის გავლენა რომ არ იგრძნობოდეს!

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ დავით პაკელიანი დისწულია ჩვენთვის კარგად ცნობილი ძეგლების ქომაგისა და მგზნებარე პუბლიცისტის აკაკი გელოვანისა, რომლის კაცთმოყვარეობით და ჰუმანიზმით გაჟღენთილი წიგნები ხელოვნებაზე შეყვარებული მკითხველის სიმპათიით სარგებლობს.

ლაშა ნიკვაშვილის ცოდვით დღეს ქვაც იწვის და ჩვენთვის გულსატკენია ის, რომ „ქვაში ჩაკირული სულის“ სიდიადეზე მწერალმა კაცმა ვერ გამონახა დრო, რომ სკოთარი დისწულისაგან — დავით პაკელიანისაგან უოვთოდ განწირული და დასახიჩრებული ბიჭი მოენახულებინა და ცრემლად დაღვრილ მის მახლობლებს ნუგეშად ორიოდე თბილი სიტყვით შეწეოდა. უფრო მეტიც, პატივცემულმა აკაკი გელოვანმა იუსტიციის მინისტრის სახელზე განცხადება შეიტანა, რომ ჩემს დისშვილს დავით პაკელიანს მკაცრი სასჯელს გამოუტანესო.

არაადამიანურობით გამორჩეულმა ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებმა საზოგადოება დღეს სასოწარკვეთაში ჩააგდო. დადგა დრო, ხალხმა მოიკვეთოს ის ავენი, რომელსაც მოყვარის მოკვლის ჟინი ჭკუაგონებას უკარგავს. მიგვაჩნია, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერის ბატონ ზვიად გამსახურდიას გაფრთხილებაც ამარა საამისოდ.

**გია თასოევი**

# სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას საქართველოს სახალხო ფრონტს

**1990 წლის 15 თებერვალს ქალაქ ონში დაიწყო რაიონული კულტურის განყოფილების, კულტურის სახლისა და ონის სახალხო თეატრის მუშაკთა გაფიცვა.**

**თავის დროზე აქციის მიმდინარეობის შესახებ ფართო საზოგადოებრიობისათვის ინფორმაცია არ მიგვწოდებია, ვინაიდან ჩვენი მოთხოვნა ლოკალური იყო და ვთვლიდით, რომ პრობლემა ადგილობრივ უნდა მოგვარებულიყო. გაფიცვის დაწყების თაობაზე ვაუწყეთ მხოლოდ კულტურის სამინისტროსა და სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას, რადგან გაფიცვა ამ საზოგადოების ეგიდით გამოცხადდა.**

**ადგილობრივი ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, დროულად დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა მოთხოვნა კულტურის სახლის დირექტორისა და მასთან დაახლოებული რამდენიმე პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, პროტესტი ჩაეხშო. მიმართავდა შანტაჟის ნაირგვარ ფორმას — დაშინებას, გაფიცულთა ოჯახების მორალურ ტერორიზებას, აბუჩად აგდებას. ამად დაგიდევდა, რომ აქციის მონაწილეთა უმეტესობა ახალგაზრდა დედები არიან. არ მოერიდა რესპუბლიკურ პრესაში ყალბი ინფორმაციის გაშვებას. გაფიცვა 80 დღეზე მეტია მიმდინარეობს, რამაც რაიონში უაღრესად დაძაბული და მორალურად გაუძღები სიტუაცია წარმოშვა (ამაში, სამწუხაროდ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ბრალი მიუძღვის კულტურის სამინისტროს მიერ წარმოგზავნილ კომისიასაც).**

**ამიტომ, ჩვენი თავდაპირველი მოთხოვნა, ცხადია, ძალაში რჩება, მაგრამ, ამას გარდა, უკვე მოვითხოვთ სახალხო დეპუტატთა ონის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის გადადგომას, რადგან იგი პარტიული დიქტატის ქვეშ იმყოფება და საკუთარი პოზიციის გამოვლენის ელემენტარული უნარი არ გააჩნია, ამასთანავე, პარტიის რაიკომის, როგორც ყოვლად უსარგებლო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატის, გაუქმებას.**

**მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, (ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი აქვს), იძულებული გავხდებით, მივმართოთ მშვიდობიანი პროტესტის უკიდურეს ფორმებს.**

**ვთხოვთ შესაბამის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომ მათი წარმომადგენლებისგან შეიქმნას მიუკერძოებელი კომისია, რათა ადგილზე გაეცნონ სიტუაციას, ამ ფაქტის გარშემო არსებულ დოკუმენტაციასა და ვიდეომასალას.**

**ვთხოვთ საქართველოს პრესა-ტელევიზიას, საზოგადოებას მიაწოდოს დაწვრილებითი ინფორმაცია.**

**საგაფიცვო კომიტეტი**
**7 მაისი, 1990 წელი.**

## საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობის მომზადებასთან დაკავშირებით რეგიონული ორგანიზაციები და ასოციაციები ვალდებულნი არიან, 16 მაისამდე წარმოადგინონ ანგარიში ფულადი სახსრების შემოსავლებისა და გასავლების შესახებ.

**საარჩევნო კომისია**

## მოკალაჯეთა საყურადღებოდ!

**საქართველოს სახალხო ფრონტი კიდევ ერთხელ შეახსენებს საქართველოს მოსახლეობას, რომ მოკალაჯისა და მოკალაჯის საბინაო ან სხვა სასის ეროვნულ დავაში სხვა არ ეგების.**

# საქართველოს კომპარტია ნიღაბს იცვლის

**საბჭოთა** კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მე-6 და მე-7 მუხლებში შეტანილი ცვლილებებით, ოფიციალურად დაშვებულია მრავალპარტიულობა, რასაც უნდა მოჰყვეს ერთპარტიული მმართველობის გაუქმება. ამის შესაბამისად, უნდა გაუქმდეს სკკ დიქტატი ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური სფეროების სტრუქტურებში. მართალია, სკკ დღეს სიტყვიერად აღიარებს ყველა პარტიის თანასწორობას, მაგრამ ცხოვრებაში იგი ყველანაირად ცდილობს შეინარჩუნოს გაბატონებული მდგომარეობა, რისთვისაც სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს იყენებს. ადრე თუ იგი სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში თავის დიქტატს პარტიული სტრუქტურებით ახორციელებდა, ახლა ცდილობს, ერთგული და მორჩილი ფუნქციონერები სხვა თანამდებობებზე მოაკალათოს და ამით, პოზიციები განიმტკიცოს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ კომუნისტური პარტია არ აპირებს თავისი დანაშაულის აღიარებას შექმნილი სიტუაციის გამო და წინასწარგანსაზღვრული, მაგრამ არაეფექტური პოლიტიკით რესპუბლიკას ახალ პრობლემებს უმზადებს.

საქართველოს მომავალი მოითხოვს, რომ აღვუდგეთ კომუნისტური პარტიის დიქტატის შემდგომ განმტკიცებას. წარსულის მანკიერებებს მომავალი არ უნდა ჰქონდეს.

**საქართველოს სახალხო ფრონტის ფინანსთა სამინისტროს პირველადი ორგანიზაციის გამგეობა.**

# კონფლიქტი ფინიეს უახლოვდება?

6 თვეზე მეტია, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში გრძელდება კონფლიქტი დირექტორსა და კოლექტივს შორის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დანიშნა ინსტიტუტში რიგგარეშე არჩევნები ისე, რომ არ გაათავისუფლა ახლანდელი დირექტორი. ბრალდებებით დამძიმებულმა დირექტორმა, იმის ნაცვლად, რომ თვით ეთხოვა თანამდებობიდან გადადგომა, თავისი კანდიდატურა წამოაყენა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს სახალხო ფრონტი ყურადღებით ადევნებს თვალს ამ კონფლიქტს და თანადგომას უცხადებს ინსტიტუტის კოლექტივს.

ვთეხავთ ინსტიტუტის სახალხო ფრონტის გამგეობის მიმართვას სამეცნიერო საბჭოს წევრებისადმი.

**პატივცემულო საბჭოს წევრებო!**

ახლო მომავალში თქვენ მონაწილეობას მიიღებთ ინსტიტუტის დირექტორის ალტერნატიულ არჩევნებში. თვით ეს ფაქტი უდიდესი მნიშვნელობისაა — პირველად ჩვენი ინსტიტუტის ცხოვრებაში ჩატარდება დემოკრატიული აქცია — სამეცნიერო საბჭო გამოხატავს თავის ნებას და აირჩევს დირექტორად იმ პიროვნებას, რომელსაც მოინდომებს.

გაიხსენეთ, თუ როგორ მოვედით ამ არჩევნებამდე, ნუ გაგაღიზიანებთ ბრძოლის ის ფორმები, რომლისთვისაც იძულებული იყო მიემართა ინსტიტუტის კოლექტივის ნაწილს, რათა გადალახა ბიუროკრატიული სტრუქტურების წინააღმდეგობა, დასძლიეთ თქვენში პირადული ინტერესები, ნუ შეეცდებით მისსალ-მისსალ აწონოთ ის მოგება და წაგება, რასაც მოგიტანთ არჩევნების შედეგები. ამაღლდით ყველაფერ ამაზე და გააკეთეთ ზნეობრივი არჩევანი — ვის უნდა მისცეთ თქვენი ხმა!

თქვენთვის ცნობილია, რომ ერთ-ერთ კანდიდატად დასახელებულია აკადემიკოსი ე. სეხნიაშვილი, უმეტესობა სამეცნიერო საბჭოს წევრებისა ახალგაზრდობაა და მისთვის ე. სეხნიაშვილი არის პიროვნება, რომელიც წლების განმავლობაში წარმართავს ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერებას. საბჭოს წევრებისათვის შეიძლება ნაკლებად ცნობილი იყოს, რომ ე. სეხნიაშვილი ყოფილი პარტიული ფუნქციონერია, რომლის პარტიული და მეცნიერული კარიერა მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთთან. პარტიულ საფეხურებზე ზეაღსვლას იგი მოურიდებლად იყენებდა მეცნიერული ტიტულების მოსახვეჭად. ასე გახდა იგი ჯერ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, შემდეგ კი აკადემიკოსი. ამ გზით-მოექცა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობაშიც.

კითხეთ ამის შესახებ ჩვენს მეცნიერებასთან მიახლოებულ ნებისმიერ ადამიანს — ჩვენს ინსტიტუტში, ჩვენი აკადემიის განყოფილებაში, მის პრეზიდიუმში. ამას ყველა დაგიდასტურებთ. ე. სეხნიაშვილი ნაყოფია ჩვენი უზნეო, უსამართლო საზოგადოებისა. იგი სიმბოლოა პარტოკრატიისა, რომელმაც დაამონა და გახრწნა ჩვენი მეცნიერება. ე. სეხნიაშვილი შიშიანობის პერიოდის მოღვაწეა — მისი აპოლოგეტი და მოტრფიალე. ეს ყველამ იცის, ამაზე ყველა ლაპარაკობს. ამიტომ იყო, რომ არც აკადემიის პრეზიდიუმი, არც განყოფილება და არც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო არ დაუდგა დამცველად ე. სეხნიაშვილს, როცა მას წაუყენეს ბრალდებები — ძალიან ძნელია მსაჯულად მოვევლინო ჯაკს, მაგრამ უფრო ძნელია გვერდში ამოუდგე ისეთ ავადცნობილ პიროვნებას, როგორიც ე. სეხნიაშვილია.

ახლო მომავალში ჩვენს ინსტიტუტში ჩატარდება დირექტორის არჩევნები. ეს არ იქნება ჩვეულებრივი არჩევნები. რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ვინ უხელმძღვანელებს ინსტიტუტს ხუთი წლის განმავლობაში. ჩვენს ინსტიტუტს დაეკისრა უდიდესი ამოცანის გადაწყვეტა — მან ზნეობრივი შეფასება უნდა მისცეს ე. სეხნიაშვილის პიროვნებას. ეს არის მომავალი არჩევნების ნამდვილი არსი. ეს უნდა იგრძნოს სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრმა და უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის არჩევანს.

დღეს ჩვენი ინსტიტუტის კონფლიქტი მეცნიერებათა აკადემიის ყურადღების ცენტრშია. მას თვალყურს ადევნებს საქართველოს საზოგადოებრიობა. თავისი არჩევანით ჩვენმა ინსტიტუტმა უნდა დაამტკიცოს, რომ განახლებისა და განწმენდის ამორგებული სურვილი არც ქართული მეცნიერებისთვის არის უცხო.

**ინსტიტუტის სახალხო ფრონტის გამგეობა.**

# შეწყდეს მოწამვლა

**სიცოცხლე** დედამიწაზე საფრთხეშია. მას ემუქრება თანამედროვეობის უდიდესი მტერი — საყოველთაო ეკოლოგიური კრიზისი. ცნობილია ისიც, რომ ატმოსფეროს დაჭუჭყიანებაში უდიდესი „წვლილი“ შეაქვს ავტოტრანსპორტს. შიგაწვის ძრავის მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, ნებისმიერი მარკის სავტომობილო ბენზინის წვის შედეგად ატმოსფერო ბინძურდება, რომ არაფერი ვთქვათ ავტომანქანების ტექნიკურ გაუმართაობაზე, რაც ერთი-ორად ზრდის გამონაბოლქვ აირებში მავნე კომპონენტების რაოდენობას. განსაკუთრებით საშიშია ეთილირებული ბენზინი, ანუ ბენზინი, რომელსაც დეტონაციური მდგრადობის /განსადიდებლად დამატებული აქვს ტეტრაეთილტყვია. A-93 მარკის სწორედ ასეთი ბენზინი მოიხმარება საქართველოში, თუმცა საკავშირო ორგანოების დადგენილებით, სსრკ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და საკურორტო ადგილებში აკრძალულია ეთილირებული ბენზინის გამოყენება საწვავად. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ალმა-ათაში, ერევანში კარგა ხანია ეთილირებული ბენზინი არ გამოიყენება ავტოტრანსპორტში. საქართველოს სსრ შესაბამისმა ორგანოებმა დღემდე ვერ შესძლეს ზემოაღნიშნული დადგენილების ამოქმედება საქართველოში — საკავშირო მთავრობამ „ვერ გამოძებნა საშუალებები“. პირიქით, იგი რამდენიმე წელია თანდათან ამცირებს რესპუბლიკის არაეთილირებული A-76 მარკის ბენზინის ფონდს. ცვლის მას საავტომობილო საწვავი აირებით (გათხევადებულით ან შეკუმშულით), რომელიც შემოდის საქართველოში რამდენიმე წელია გროზნოდან, გორკიდან და, ამ ბოლო დროს, სუმგაითიდან. საქართველოს სსრ შესაბამისი სამსახურებიც დიდ წინააღმდეგობას არ უწევენ ცენტრს; თხევადი აირით გარბენი ხომ გაცილებით აიფი ჯდება ბენზინთან შედარებით (8-10-ჯერ) და დიდ მოგებას იძლევა(!). საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს ყოველწლიურ შეკვეთებს ბენზინსა და აირზე მომუშავე ავტომანქანებზე, მესამე წელია მხოლოდ აირზე მომუშავე მანქანებით („გაზ-24-17“ მარკის) აკმაყოფილებს გორკის ავტოქარხანა.

როგორია გათხევადებულ საწვავ აირზე მუშაობის შედეგები? — საგანგაშო!

იმ მავნე ნივთიერებათა შორის, რომლებსაც ავტომანქანის გამონაბოლქვი აირები შეიცავს, განსაკუთრებით საშიშია ჯანმრთელობისთვის ეთილენი, პროპილენი, ფორმალდეჰიდი.

ბალონის შევსება გათხევადებული აირით ავტოგარაჟების გასამართ პუნქტებში უსაფრთხოების ნორმების წარმოუდგენელი დარღვევით ხდება. აქ გამოყენებული პრიმიტიული ხერხით პირდაპირ სივრცეში, გარაჟში მომუშავისაგან 1-2 მეტრში 3-5 წუთის განმავლობაში გამოიტყორცნება წნევის ქვეშ აქაფებული გათხევადებული აირის ჭავლი და იქვე ორთქლდება 0,5-0,7 ლ. მომწამლავი ნივთიერებებისა, რომელთა შემცველობა ჰაერში 15-20 მგ/მ³ არ უნდა აღემატებოდეს. გასამართი პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე საშინელი, გულისამრევი სუნი დგას. როგორც ავტოგარაჟებში გვითხრეს, განსაკუთრებით მძაფრი სუნი სუმგაითიდან შემოტანილ აირს აქვს.

სრულიად ჯანმრთელი მძღოლები, რომლებიც აირზე მომუშავე მანქანებს ატარებენ, უჩივიან თვალების წვას, გულის და ღვიძლის ტკივილს, იმპოტენციას, თავის ტკივილს, გულისრევის შეგრძნებას, პირის სიშშრალეს, დაღლილობას, სუსტს, თავბრუსხვევას, ყელის წვას, გულში ჩხვლეტებს, ყელის გაშრობას, რეაქციის შესუსტებას. ბევრმა მათგანმა შემოგვჩივლა: „გაბრუებული ვარ მთვრალივით, ინსპექტორებს ნასვამი ვგონივარ“, „სამუშაოდან სახლებში მისულებს ჭამის თავიც არ გვაქვს“, „თვალები მიჭრელდება, შუქნიშნის ფერებს ვერ ვარჩევ“. მათივე ცნობით, ხშირია მოძრაობის წესების დარღვევები, ავარიები. სტატისტიკურ მაჩვენებლებს, სამწუხაროდ, ვერ წარმოგიდგენთ. ყველასთვის ცნობილია, მოძრაობის წესების დარღვევებს მეტწილად როგორ „აფიქსირებენ“ ინსპექტორები.

გათხევადებული აირადი საწვავის გამოყენება ზიანს აყენებს არა მარტო უშუალოდ მომსახურე პერსონალს, აირის სუნს უჩივიან მგზავრებიც და ერიდებიან აწეთი ტაქსებით სარგებლობას. გამონაბოლქვი აირები აბუჭყიანებს ატმოსფეროს მავნე ნივთიერებებით. შრომის დაცვის ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით თბილისის ტაქსების მიერ (სულ 1600 მანქანაა თბილისში) დღე-ღამის განმავლობაში გამონაბოლქვით გამოტყორცნილი ზემოთაღნიშნული მავნე ნივთიერებების რაოდენობა საშუალოდ შეადგენს: ეთილენს — 1267 კგ, პროპილენს — 1512 კგ, ფორმალდეჰიდისა — 211 კგ. მათი გამოტყორცნის ადგილას, მილიდან გამონაბოლქვში, ეთილენი 150-300-ჯერ მეტია დასაშვებ კონცენტრაციაზე, პროპილენი — 120-200-ჯერ, ფორმალდეჰიდი — 1700-6000-ჯერ.

გამონაბოლქვი აირები სალონში შედის როგორც ტექნიკურად გაუმართავი, ასევე გამართული მანქანის გაჩერებისას ღია ფანჯრიდან, მგზავრის ჩაჯდომისა და გადმოსვლისას. მავნე აირების კონცენტრაცია მანქანის სალონში ბევრად აღემატება ჯანმრთელობისათვის უვნებელ ნორმებს. კერძოდ, ეთილენს — 1,5-2-ჯერ, პროპილენს — 3-5-ჯერ, ფორმალდეჰიდის — 20-25-ჯერ.

როგორი ტოქსიკურობა ახასიათებს ამ ნივთიერებებს?

ეთილენი იწვევს გამაღიზიანებელ, ნარკოტიკულ (გუნებრივ-გაწყობის აწევა, გაბრუება, თრობა, ძილიანობა), მუტაგენურ (მემკვიდრეული ცვლილებების გამოწვევა) მოქმედებას; პროპილენი იწვევს საერთო მოწამლულობას, მხედველობის ორგანოების, ღვიძლის, თირკმლების დაზიანებას, ცენტრალური ნერვული სისტემის ძლიერ გაღიზიანებას, ალერგენულ, კანცეროგენულ, მუტაგენურ მოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ ნახშირწყალბადიან აირად საწვავს ავტომანქანებისათვის არ მოიხმარენ განვითარებული ქვეყნები და... საქართველოს სსრ თანამდებობის პირები. გასული წლის შემოდგომაზე მისი გამოყენება აიკრძალა ლენინგრადსა და მოსკოვში.

ერთი წლის წინ შრომის დაცვის ინსტიტუტმა ქალაქის სახალხო კონტროლს აცნობა გათხევადებული აირადი საწვავის გამოყენების მიზანშეუწონლობის შესახებ. ეს ცნობილი იყო ყველა სხვა მასთან დაკავშირებული უწყებისთვისაც. გარდა ამისა, ბოლო ორი წლის მანძილზე იყო რამდენიმე შემთხვევა მანქანების თვითაალების და დაწვისა. მიუხედავად ამისა, შექმნილ ვითარებას არავინ არ გამოეხმაურა, არც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, არც ბუნების დაცვის კომიტეტი, არც პროფკავშირები, არც საათბობის კომიტეტი; არც სახალხო კონტროლმა და შრომის დაცვის ინსტიტუტმა გამოიჩინეს აქტიურობა, საავტომობილო სამმართველოსაც არ მიუტანია გულთან ახლოს მძღოლების უკმაყოფილება, ვიდრე მძღოლებმა, უკიდურესად შეწუხებულებმა გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედებით, ა. წ. თებერვალში არ გადაწყვიტეს გამაფრთხილებელი გაფიცვის მოწყობა.

როგორც გვითხრეს, მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 25 აპრილიდან ავტოტრანსპორტში საწვავი აირის გამოყენების აკრძალვის შესახებ. გვინდა დავიჯეროთ, რომ პრობლემის გადაჭრა ცალმხრივად არ მოხდება, — მძღოლები უმუშევრად არ დარჩებიან. ამისათვის კი აუცილებელია დეფიციტური დეტალები აირზე მომუშავე ძრავების გადასაკეთებლად და A-76 მარკის ბენზინის ფონდის გაზრდა.

**საქართველოს სახალხო ფრონტის ქიმიის კომისია**

**მინაწერი:** *როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს სსრ მთავრობას არც 25 აპრილიდან მიუღია საჭირო ზომები.*


გამომცემელი
**სახალხო ფრონტი**

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, უაზბეგის ქ. № 17. ტელ.: 292-681.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი
**მამუკა ფაჩუაშვილი**